ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

Akhali Taoba

ხუთშაბათი, 14 სექტემბერი, 2017 №218 (7453) ფასი: 50 თეთრი

ემზარ კვიციანი: „150-კაციან საარჩევნო სიაში 50% თუ ქალი იქნა, ბავშვებს ვინ გაზრდის?“

გვ.3

14 სექტემბრიდან

ელენე ახვლედიანი

მაღალი პოლიგრაფიული დონით შესრულებული ალბომი არაჩვეულებრივი საჩუქარია მხატვრის თაყვანისმცემლებისთვის და არამარტო მათთვის.

ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი

„ქართველი მინისტრები სააკაშვილთან შუამავლებს აგზავნიან და გარანტიებს ითხოვენ“

გვ.2

ზვიად კუპრავა: „საქართველოს ხელისუფლება აგონიაშია“

დავით დარჩიაშვილი: „ხელისუფლება ოპოზიციის გახლეჩას ცდილობს“

გვ.3

„აზიური ფაროსანის განადგურება იოლი არ იქნება“

გვ.4

გიორგი გაჩეჩილაძე: „მავნებელი საქართველოში რუსეთიდან შემოვიდა“

ლევან იზორია: „ამერიკა საქართველოს გვერდითაა“

გვ.4

ალექსანდრე ჯეჯელავა: „ვაბრუნებთ დიდ შესვენებებს, სწორედ ამ დროს დარიგდება ვაშლი“

გვ.5

მეხანძრე-მაშველებს ამერიკის საელჩოს მიერ გადაცემული ცეცხლგამძლე ფეხსაცმელი ჯერ არ მიუღიათ

გვ.5

ISSN 1987-9385

მიკროავტობუსის მძღოლები ფიქსირებულ ხელფასს ითხოვენ

გვ.6

„ქართველი მინისტრები სააკაშვილთან შუამავლებს აგზავნიან და გარანტიებს ითხოვენ“

შორენა მარსაგიშვილი

ზვიად კუპრავა: „საქართველოს ხელისუფლება აგონიაშია“

რას დაჰპირდა სააკაშვილს ერთ-ერთი ქართველი მინისტრი ხელშეუხებლობის სანაცვლოდ, რისი ეშინია ყველაზე მეტად ხელისუფლებას, როდის უნდა ველოდოთ საქართველოში ყოფილი პრეზიდენტის დაბრუნებას, – ამის შესახებ „ახალ თაობას“ სამართალდამცავთა რეფორმირების ცენტრის ხელმძღვანელი ზვიად კუპრავა ესაუბრება.

– სოციალურ ქსელში თქვენ დაწერეთ, რომ „ოცნების“ ჩინოსნები სააკაშვილთან შუამავლებს აგზავნიან ვაზელინის დიდი პარტიით. შეგიძლიათ უფრო კონკრეტულად გვითხრათ, რა ხდება ამ ფრონტზე?

– ამასთან დაკავშირებით სერიოზული წყაროსგან მაქვს ინფორმაცია. ახლა სახელებს და გვარებს ვერ დავასახელებ, მაგრამ ამის დროც მოვა. ესენი არიან მაღალი თანამდებობის პირები. მათ შორის ერთ-ერთი არის მინისტრი.

ჩემი ინფორმაციით, ეს ხალხი უკრაინაში შუამავლებს აგზავნის და ახლავე ცდილობს მიშასთან ურთიერთობის დალაგებას. მინისტრი, რომლის გვარსაც ახლა არ დავასახელებ, იძლევა გარანტიას, რომ ის სააკაშვილს დაბრუნებაში დაეხმარება. სანაცვლოდ ხელშეუხებლობის გარანტიას ითხოვს. მას შემდეგ, რაც საქართველოს მესამე პრეზიდენტი უკრაინაში შევიდა, „ქართული ოცნება“ სრულ პანიკაში ჩავარდა.

სააკაშვილის უკრაინაში შესვლის მთელი სიმძაფრე იმაში გახლავთ, რომ პოროშენკომ მის ხელთ არსებული თითქმის ყველა რესურსი გამოიყენა, რომ ოდესის ყოფილი გუბერნატორი შეეჩერებინა. უკრაინის პრეზიდენტმა თავისი რესურსები მეზობელ სახელმწიფოშიც მიმართა – პოლონეთში მან მატარებელიც კი გააჩერებინა, რასაც ყველამ პირდაპირ ეთერში ვუყურეთ.

რადას დეპუტატები სააკაშვილს პარლამენტის ტრიბუნიდან დაემუქრნენ, რომ ყველა დაიხვრიტებოდა, ვინც საზღვარზე შემოჭრას ეცდებოდა. მას საზღვართან დაახვედრეს ტიტუშკები.

უნდა მივაქციოთ ყურადღება იმას, რომ სააკაშვილს არავინ არ ეუბნებოდა, უკრაინის ტერიტორიაზე შესვლის უფლება არ გაქვსო. სასაზღვრო ძალების გენერალმა მას უთხრა, იმიტომ არ გატარებთ, რომ საზღვარი დანაღმულია.

პოროშენკომ, რომელიც, გარდა იმისა, რომ პრეზიდენტია, ოლიგარქიც გახლავთ, აქვს უზარმაზარი ფული და მანაც კი ვერ შეძლო სააკაშვილის შეჩერება. ის უპრობლემოდ შევიდა უკრაინაში და მას დღემდე ვერაფერს ვერ უხერხებენ.

– ადმინისტრაციული ჯარიმის გადახდას სთხოვენ?

– მას ეხვეწებიან, იქნება ადმინისტრაციული ჯარიმა მაინც გამოგვაწერინოთო. ამას იმიტომ აკეთებენ, რომ პოროშენკო მთლად არ გაფარჩაკდეს და სახის შენარჩუნება რამენაირად შეძლოს. პოროშენკოს გაფარჩაკება მას შემდეგ დაიწყო, რაც მან საქართველოს მესამე პრეზიდენტს მოქალაქეობა ჩამოართვა.

მე შემთხვევით არ გავიხსენე თუ რა წინააღმდეგობები დაძლია მიშამ. მის გარშემო მიმდინარე მოვლენებს საქართველოს ხელისუფლება ძალიან ყურადღებით ადევნებს თვალს. „ქართული ოცნება“ ახლა სერიოზული მორალური და ფსიქოლოგიური დარტყმის ქვეშაა.

– ამბობენ, რომ „ოცნებას“ ყველაზე მეტად მიშას დაჭერა და საქართველოში მისი ექსტრადირება არ უნდოდა. სააკაშვილმა იხუმრა კიდევაც, მთელი მთავრობა და პარლამენტი ამაზე ლოცულობდაო.

– სააკაშვილის ექსტრადირება რომ არ სურდათ, ამაში სატელეფონო ხულიგნებსა და გიორგი მღებრიშვილს შორის გამართული საუბრის დროსაც დავრწმუნდით. ჩვენ შს მინისტრს ეგონა, რომ უკრაინელ კოლეგას არსენ ავაკოვს ესაუბრებოდა. საუბრისას მან დააფიქსირა პრემიერის პოზიციაც და ღიად თქვა, მიშა აქ არაფერში არ გვჭირდება, ამას სახალხო მღელვარება მოჰყვებაო.

ამათ გავარდნილი თოფივით ეშინიათ სააკაშვილის. „ოცნებას“ ის ბორკილებდადებულიც კი აშინებს.

– საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ მას ბორკილებს არავინ დაადებს.

– ეს ახლა გაირკვა, მანამდე „ოცნებას“ იმედი ჰქონდა, რომ უკრაინაში დაიჭერდნენ და იქვე დატოვებდნენ. ექსტრადირების შემთხვევაში აქ ხალხის სერიოზული წინააღმდეგობა შეხვდებოდა.

გასული საუკუნის 90-იან წლებში ჩვენმა საზოგადოებამ ერთ პრეზიდენტთან მიმართებაში უკვე დაუშვა შეცდომა. მაშინ ბნელ ძალებს ზვიად გამსახურდიას ლიკვიდაციის უფლება მისცეს. აქ გამსახურდიაზე, როგორც პიროვნებაზე არ ვსაუბრობ, მხედველობაში პრეზიდენტის ინსტიტუტი მაქვს.

პრეზიდენტი შეიძლება არ მოგწონდეს, მაგრამ პრეზიდენტის ინსტიტუტი დროშის და გერბის მსგავსად არის ქვეყნის სიმბოლო. ძალიან არ მომწონს ის პოლიტიკა, რასაც ახლა გიორგი მარგველაშვილი ატარებს, მაგრამ მას თუ ისევე მოექცევიან, როგორც სააკაშვილს და გამსახურდიას, ისევე დავიცავ, როგორც ახლა მიშას ვიცავ. ზვიად გამსახურდიას პრეზიდენტობის დროს მხოლოდ 6 წლის ვიყავი და შესაბამისად მას ვერანაირი ფორმით ვერ დავიცავდი.

უკრაინაში დატრიალებულმა მოვლენებმა საქართველოს ხელისუფლება სრულ აგონიაში ჩააგდო. ისინი სხვადასხვა ეპითეტებით ამკობდნენ სააკაშვილს. ამბობდნენ, რომ ის წარსულის პოლიტიკოსია.

– პარლამენტის სპიკერმა თქვა, აქტუალობა დაკარგაო.

– აქტუალობადაკარგული და წარსულის პოლიტიკოსები მსოფლიოს ვერ აზანზარებენ. მიშაზე თამამად შეიძლება ვთქვათ, რომ მთელი მსოფლიო აადუღა. შეუძლიათ მასზე ყველაფერი თქვან, მაგრამ დღეს ასეთი მოცემულობაა – საქართველოს მესამე პრეზიდენტი მსოფლიოს ყურადღების ცენტრშია.

აქედან გამომდინარე სავსებით ბუნებრივად მიმაჩნია, რომ „ქართული ოცნების“ ხელისუფლება მასთან შუამავლებს აგზავნის. ახლა ისინი საკუთარი ტყავის გადარჩენაზე ფიქრობენ. ყველა ადამიანი, მიუხედავად იმისა, რა პოსტი უკავია, მხოლოდ საკუთარ მომავალზე ფიქრობს. ისტორიაში ცუდად შესვლა არავის არ უნდა.

– სააკაშვილი უკრაინიდან წამოსვლას ჯერ არ აპირებს და რატომ ჩქარობენ მასთან შუამავლების გაგზავნას?

– ყველა კარგად აცნობიერებს, რომ საქართველოში მიშას დაბრუნება გარდაუვალია. მას უკანონოდ წაართვეს საქართველოს მოქალაქეობა. შესაბამისად სრული უფლება აქვს, საქართველოშიც ისევე შემოვიდეს, როგორც უკრაინაში შევიდა. ამიტომაც არის „ოცნების“ მთავრობა ასეთი დაფიქრებული.

დარწმუნებული ვარ, ის საქართველოში უფრო იოლად შემოვა. მას წინააღმდეგობასაც კი არ გაუწევენ. მან რომ თქვას, 10 დეკემბერს ვბრუნდებიო, ნახავთ, რა მოხდება.

– 10 დეკემბერი პირობითად ახსენეთ თუ რაიმე ინფორმაცია გაქვთ?

– პირობითად ვახსენე. როგორც კი ის საქართველოში დაბრუნების თარიღს დააანონსებს, მთელი ხელისუფლება მთლიანად ჩამოიშლება. ჩვენ ხომ სტრუქტურაზე აწყობილი სისტემა არა გვაქვს. ჩვენი სისტემა ბიძინაზე აწყობილია, ბიძინა ივანიშვილზე.

ყველა სახელმწიფო ინსტიტუტი ფაქტიურად მოშლილია. შესაბამისად, როგორც კი მიშა დააანონსებს დაბრუნებას, ეს ხელისუფლება ხუხულასავით ჩამოიშლება.

– ის ამბობს, რომ ამ ხელისუფლების შეცვლა უნდა და თუ მისი ერთი განცხადება დაბრუნების შესახებ საკმარისია ხელისუფლების ჩამოსაშლელად, რატომ არ აანონსებს დაბრუნების თარიღს?

– აუცილებლად დააანონსებს. ახლა ის უკრაინაში ბრძოლაშია, ის იქაურ ოლიგარქებს ებრძვის. ამ ბრძოლის პარალელურად საქართველოში მეორე ფრონტს ვერ გახსნის. იქ როგორც კი პროცესები დაწყნარდება, ის აუცილებლად მიხედავს საქართველოს.

მან არაერთხელ თქვა, რომ მისთვის საქართველო განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. ამით მან მესიჯი გამოუგზავნა „ოცნებას“ – მე აუცილებლად დავბრუნდები საქართველოში.

– 21 ოქტომბერს დაგეგმილ თვითმმართველობის არჩევნებამდე ის ალბათ ვერ დაალაგებს სიტუაციას უკრაინაში.

– უკრაინაში ასე იოლი არ იქნება ბრძოლის დასრულება. არჩევნებამდე ერთ თვეზე ცოტა მეტია დარჩენილი. თეორიულად არაფერი გამორიცხული არ არის. ის თუ 21 ოქტომბრამდე აღადგენს მის დარღვეულ უფლებებს უკრაინაში, შესაძლოა ის საარჩევნოდ ჩამოვიდეს საქართველოში. მან თავისი უფლებები აქაც უნდა აღიდგინოს. მიშა ამიტომ ჩამოვა პირველ რიგში. ის არც რევოლუციის მოწყობას და არც არავის გადატრიალებას არ აპირებს.

– თუმცა ამბობთ, რომ როგორც კი დაბრუნებას დააანონსებს, „ოცნების“ ხელისუფლება მაშინვე ჩამოიშლებაო.

– ეს აუცილებლად ასე იქნება. მიშა არავის გადატრიალებას არ აპირებს. ვიღაც თუ საკუთარი სურვილით გადატრიალდება და გადმოტრიალდება, ეს მისი პრობლემაა. ის აქ უფლებების აღსადგენად ჩამოვა. რა იგულისხმება უფლებების აღდგენაში, ეს სულ სხვა თემაა. ვიღაცა ამის გამო თანამდებობას დაკარგავს, ვიღაცა ჩადენილი დანაშაულისთვის პასუხს აგებს, ვიღაცისთვის სამართლიანობა აღდგება.

მესამე პრეზიდენტის რეიტინგი დღეს იმაზე ბევრად მაღალია, ვიდრე ეს ჰქონდა, სანამ პოროშენკო მოქალაქეობას ჩამოართმევდა. ურეიტინგობას არც მანამდე უჩიოდა. ახლა კი ხალხში ძალიან პოპულარულია. დღეს მთელს მსოფლიოში ხალხში პოპულარობით უფრო ქარიზმატული ლიდერები სარგებლობენ.

სააკაშვილი კიდევ იმიტომ არის პოპულარული, რომ სახელმწიფოებრივად აზროვნებს და დემოკრატიულ ღირებულებებს სცემს პატივს. ეს მან 2012 წლის 1 ოქტომბერსაც დაამტკიცა. იმ დღეს მიშას ყველა ბერკეტი ჰქონდა იმისთვის, რომ არჩევნების შედეგები შეეცვალა და ხელისუფლებაში დარჩენილიყო. მან ეს არ გააკეთა, რადგანაც არ უნდოდა ხალხის ნების წინააღმდეგ წასულიყო. ასეთ შემთხვევაში ის აღარ იქნებოდა მიხეილ სააკაშვილი, ის გახდებოდა ისეთი გამყალბებელი, როგორიც ივანიშვილი.

მიშას სიძლიერე ხალხის ნების პატივისცემაშია და არა კუნთებში და მილიარდებში. ჩვენ ვიცით, რომ მას ფული არა აქვს და, შესაბამისად, არც ფუფუნებაში არ ცხოვრობს.

– არადა ბევრი საუბარი იყო იმაზე, რომ მან ბიუჯეტიდან დიდი რაოდენობით თანხები მიითვისა. „ოცნების“ ზოგიერთი წარმომადგენელი ამბობს, რომ მან 16 მილიარდი წაიღო საქართველოდან.

– მერე სად არის ეს 16 მილიარდი? რატომ არ იძიებენ? ამაზე მხოლოდ ლაპარაკობენ. ბევრი ილაპარაკეს, საქმეც აღძრეს და მერე მილიარდებიდან 4 თუ 5 პიჯაკზე ჩამოვიდნენ.

– მარტო პიჯაკები არა, 2 პალტოც გაუხსენეს.

– პალტოს გარდა, სხვა ბევრი რამეც უპოვეს. მაგალითად, ედავებიან, რომ სახელმწიფო სახსრებით შეიძინა გვირგვინები, რომლებიც საქართველოს სახელით ვაცლავ ჰაველის და ლეხ კაჩინსკის დაკრძალვაზე გააგზავნა.

ედავებიან ვიქტორ იუშჩენკოს მასპინძლობის გამო. ის წაიყვანეს გოგირდის აბანოში და მომსახურების თანხაც გადაუხადეს. აბა რა უნდოდათ, უკრაინის პრეზიდენტს თავად ჩაეყო ჯიბეში ხელი და ბიძინას „კარფურში“ ეყიდა შამპუნი?

დაახლოებით 1,5 წლის წინ მე მიშას უკრაინაში შევხვდი. ის ცხოვრობს ძალიან ჩვეულებრივად. გადაადგილდებოდა „შკოდათი“, რომლის ფასიც საქართველოში 5.000 დოლარია. ასეთი დაბალფასიანი მანქანით საქართველოში არც ერთი რაიონის პოლიციის უფროსი არ დადის. მინისტრებსა და დეპარტამენტების უფროსებზე აღარაფერს ვამბობ.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

დავით დარჩიაშვილი: „ხელისუფლება ოპოზიციის გახლეჩას ცდილობს“

ნათია ხურცილავა

„ევროპული საქართველოს“ ერთ-ერთი ლიდერი დავით დარჩიაშვილი „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

– ბატონო დავით, საკონსტიტუციო რეფორმასთან დაკავშირებით პარლამენტის თავმჯდომარე არ გამორიცხავს, რომ ოპოზიციას კიდევ ერთი შანსი მისცეს. როგორ შეაფასებთ კობახიძის პოზიციას?

– ამ დისკუსიამ ძალიან სავალალო სურათი აჩვენა. მიუხედავად იმისა, რომ 2017 წელია, პოლიტიკური კლასის დიდი ნაწილი 90-იანი წლების დასაწყისის პოსტსაბჭოთა სივრცის დონეზეა. ბატონი კვირიკაშვილი იმის დასამტკიცებლად, რომ თურმე წინა ხელისუფლება როგორი დიქტატორული იყო, საუბრობს იმაზე, რომ ყოფილმა ხელისუფლებამ თუ როგორ ჭუჭყიანი მეთოდებით გახლიჩა 2007 წელს ოპოზიცია. პრემიერს ჩვეულებრივი პოლიტიკური ტაქტიკის ანი და ბანი, დიქტატორული რეჟიმის მაგალითად მიაჩნია. თვითონ ახლა რას აკეთებენ? რა, არ ცდილობენ ოპოზიცია გახლიჩონ?! სამწუხაროდ, ეს პოლიტიკური ცხოვრების ნაწილია.

ამერიკის შეერთებული შტატების ელჩმა საქართველოში თქვა, რომ თქვენთან პარლამენტი ფუნქციას ვერ ასრულებს, ხელისუფლების შტოების გამიჯვნა ვერ არის მიღწეული. მეტი რა თქვას, დედას ხომ არ შეიგინება.

– დღეს, ოპოზიცია საკონსტიტუციო რეფორმის საკითხზე ერთიან პოზიციაზე რამდენად არის?

– ხელისუფლების გარდა ყველა ითხოვს, რომ ერთი წლის წინ გაცემული დაპირება, მანამდე კი წინასაარჩევნო დაპირება, რომელიც „ქართულ ოცნებას“ ჰქონდა, უნდა შესრულდეს. საუბარია პროპორციულ საარჩევნო სისტემაზე, რომელზე გადასვლაც აუცილებელია, რადგან შერეული სისტემა, რომელიც გვაქვს, იწვევდა შევარდნაძის დროსაც, სააკაშვილის დროსაც და ყველა დროში უზურპაციას.

კობახიძე აცხადებს, რომ ოპოზიცია ნათელი წინადადებებით არ მოდისო, მეტი რა ნათელი წინადადებები უნდა იყოს, ორი კონკრეტული მოთხოვნაა: პროპორციულ საარჩევნო სისტემაზე გადასვლა 2020 წელს და პრეზიდენტის პირდაპირი არჩევნები.

– ამას ულტიმატუმს უწოდებს ხელისუფლება.

– ხელისუფლებამ გვითხრა, რა პირობებში მისცემთ ხმას კონსტიტუციას, რომ ჩამოიწერა ეს ორი პირობა, სწორედ ამას დაარქვეს ულტიმატუმი. რა სიტყვებით თამაშია ვერ გავიგე, ამიტომ ვამბობ, საბავშვო ბაღია ან 90-იანი წლების დასაწყისი.

– ბატონო დავით, როგორ ფიქრობთ, ვენეციის კომისიის საბოლოო დასკვნას დაელოდება ხელისუფლება თუ მესამე მოსმენით მიიღებს?

– ახლა რასაც ვუყურებთ, არაფრის გაგონება არ უნდათ. შეიძლება დაელოდოს და გარეგნული ფორმა დაიცვას, მაგრამ შინაარსი იგივე მიიღოს. ხელისუფლება ძალიან კარგად ხვდება, რომ ვერანაირად ვერ შეძლებს პროპორციულ არჩევნებში ისეთი მდგომარეობის შენარჩუნებას ხელისუფლებაში, როგორიც ახლა აქვს.

– ამას რის საფუძველზე ამბობთ?

– საზოგადოების განწყობები ისეთია, რომ „ქართულ ოცნებას“ დღეს რომ აქვს საპარლამენტო მანდატები, ამდენი არ ექნება. სწორედ ამას არ უნდა, რომ შეეგუოს და ამიტომ უნდა თავისი გაიტანოს.

– თუმცა, პრემიერ კვირიკაშვილის არგუმენტია, რომ რეფორმებია გასატარებელი, ამისთვის კი საპარლამენტო უმრავლესობაა საჭირო.

– მე კითხვა მაქვს: მაშინ რა უნდოდათ მიშა სააკაშვილთან? ჩვენ ხომ ვნახეთ, რომ ეს რიტორიკა არ არის კარგი. ეს იწვევს ძალიან დიდი ვნებათაღელვას და ძალიან დიდ პოლიტიკურ კრიზისს. ნათქვამია, ჭკვიანი ადამიანი სხვის შეცდომებზე სწავლობს. უბრალოდ ღუმელთან მიაღწიეს, თბილად სხედან და არ ეთმობათ ეს ადგილი. ეს არის მთელი მოტივაცია.

– თქვენ ამბობთ, წინა ხელისუფლების გამოცდილებას ვერ აცნობიერებენ?

– სამწუხაროდ, ვერ აცნობიერებენ. სუვოროვი ამბობდა: ერთ დამარცხებულს კაცი ორ დაუმარცხებელში ვერ გაცვლისო, რადგან დამარცხებულს გამოცდილება აქვს. ამ ხელისუფლებას ჯერ დამარცხების გამოცდილება არა აქვს. ამიტომ უმჯობესი იქნება, სხვისი გამოცდილება გაითვალისწინონ, სანამ მძიმედ დამარცხებულან.



– ბატონო დავით, სააკაშვილთან დაკავშირებით უნდა გკითხოთ, როგორ შეიძლება ეს პროცესი დასრულდეს? შეიძლება მართლაც მოხდეს ექსტრადირება?

– რბილად რომ ვთქვა, სამართლებრივად მის წინააღმდეგ არასწორად მოიქცნენ, როდესაც მოქალაქეობა ჩამოართვეს. ეს იყო უკანონობა. ბუნებრივია, ამაზე მას რეაქცია ექნებოდა. როგორი რეაქცია იყო უკეთესი? რა ჯობია უკრაინის მომავლისთვის? ამაზე ბევრის თქმა შეიძლება, მაგრამ ეს ადამიანი სამართლებრივად არასწორად არის დევნილი როგორც საქართველოში, ისე უკრაინაში. რა შეიძლება იყოს გამოსავალი ამ ყველაფრიდან – ახალი მაიდანი? თუ ცივილიზებული სასამართლო პროცესი? რა ჯობია უკრაინისთვის? ჩვენი პოზიცია როგორი უნდა იყოს? ეს კიდევ სხვა საკითხებია.

– ახალი მაიდანი რამდენად არის შესაძლებელი?

– არ ვარ უკრაინაში, რომ რეალურად შევაფასო თუ რა არის შესაძლებელი იქ, მაგრამ მე მაშფოთებს, რომ ახალი მაიდანი და ახალი დაპირისპირებები შეიძლება დამასუსტებელი აღმოჩნდეს უკრაინისთვის იმ დიდი განსაცდელის ჟამს, რომელიც მას რუსეთიდან აქვს.

– ექსტრადირებასთან დაკავშირებით თქვენი პოზიცია როგორია?

– ეს კიდევ ერთი უკანონობა იქნება უკრაინის ხელისუფლების მხრიდან სააკაშვილის მიმართ.

გამოსავალი იქნებოდა, საქართველოს პრეზიდენტმა სააკაშვილს მოქალაქეობა აღუდგინოს, მაგრამ აქ ამის არანაირი პოლიტიკური ნება არ არსებობს. ასევე გამოსავალი იქნებოდა სააკაშვილის დაბრუნება საქართველოში და სრულფასოვანი პოლიტიკური მოღვაწეობის საშუალების მიცემა და არა მისი დევნა საქართველოსა და უკრაინაში.

– სამართლებრივ გზას გამორიცხავთ?

– სამართლებრივი გზა, სასამართლო პროცესები ეს შეიძლება გაგრძელდეს, მაგრამ მას უნდა მიეცეს საქართველოში ნორმალური პოლიტიკური მოღვაწეობის საშუალება. სარკოზის მიმართაც არის საფრანგეთში სასამართლო პროცესები, მაგრამ ეს მას ხელს არ უშლის, რომ პოლიტიკური ცხოვრება გააგრძელოს.

სპეციალისტები ლეიშმანიოზით ინფიცირებული შემთხვევების გამოვლენას შემოდგომაზე ვარაუდობენ

სპეციალისტები ზაფხულში ლეიშმანიოზით ინფიცირებული შემთხვევების გამოვლენას შემოდგომაზე ვარაუდობენ და მოსახლეობას რეკომენდაციებით მიმართავენ.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის ინფექციურ დაავადებათა სამსახურის უფროსმა ხათუნა ზახაშვილმა განუცხადა, ლეიშმანიოზის შემთხვევების მატების ტენდენცია ჯერჯერობით არ შეინიშნება, რადგან დაავადებას რამდენიმეთვიანი ინკუბაციის პერიოდი ახასიათებს. ამდენად, სპეციალისტები ზაფხულის პერიოდში ინფიცირებული შემთხვევების გამოვლენას ნოემბრის ბოლოდან ელოდებიან.

ზახაშვილის თქმით, ლეიშმანიოზით უმთავრესად ბავშვები ავადდებიან. დაავადება ძლიერი ცხელებით მიმდინარეობს და თვითნებური მკურნალობა დაუშვებელია.

– ბავშვთა ასაკში ეს არის გაურკვეველი ტიპის, უმთავრესად ცხელებით მიმდინარე დაავადება, რომლის დროსაც ხშირად დიაგნოზის დასმა ძნელია. დიაგნოზი მხოლოდ ლაბორატორიული დიაგნოსტიკის საფუძველზე ხდება. ამდენად, ექიმისადმი დროული მიმართვა და გამოკვლევის ჩატარება აუცილებელია. არასწორი მკურნალობისას ცხელების ეპიზოდები მეორდება და ბავშვის მდგომარეობა უარესდება. მოზრდილებში კი შემთხვევები იშვიათად ფიქსირდება, – განაცხადა ზახაშვილმა.

სპეციალისტები მოუწოდებენ მშობლებს, ბავშვებში ცხელებით მიმდინარე დაავადების გამოვლენისთანავე, სწორი დიაგნოსტიკისა და სწორი მკურნალობისთვის ექიმს დროულად მიმართონ. ასეთ შემთხვევაში, სპეციალისტი გაარკვევს, რესპირაციულია ენტერო ვირუსი თუ პარაზიტული დაავადება.მისივე თქმით, სექტემბერში, თბილი ამინდების გამო, ლეიშმანიოზის გადამტანების აქტივობა შესაძლოა თვის ბოლომდე გაგრძელდეს. ასე რომ, დაავადებით ინფიცირების რისკი ჯერ კიდევ არსებობს.

ზახაშვილი მოსახლეობას პროფილაქტიკის მიზნით გადამტანებისგან თავის დაცვისკენ მოუწოდებს.

– ლეიშმანიოზის გადამტანი პატარა მწერები, ფლებოტომუსებია, რომელიც უმთავრესად დაავადებულ ცხოველებს ახვევია. ქალაქის პირობებში ეს არის ძაღლები, რომელთაც დაავადება ვიზუალურადაც ემჩნევათ. კანზე აქვთ მოვერცხლისფრო ქერცლი და ბეწვი სცვივათ. პროფილაქტიკისთვის აუცილებელია ასეთი ძაღლების იმ ტერიტორიიდან გაყვანა, სადაც ადამიანები, განსაკუთრებით ბავშვები იმყოფებიან. ასევე, საცხოვრებელი სივრცე ფლებოტომუსების შესვლისა და დაკბენისგან მაქსიმალურად უნდა იყოს დაცული, – განაცხადა ზახაშვილმა.

მისივე თქმით, ლეიშმანიოზის შემთხვევები ძირითადად თბილისში და აღმოსავლეთ საქართველოში ფიქსირდება, თუმცა ერთეული შემთხვევები იმერეთშიც გამოვლინდა. 2017 წელს სულ 23 შემთხვევაა რეგისტრირებული, რაც 2016 წელს ინფიცირების შედეგია.

– წლების წინ წელიწადში ლეიშმანიოზის ასეულზე მეტი, 100-დან 180 შემთხვევამდე ფიქსირდებოდა. 2015-16 წლებში – 63-53 შემთხვევა გამოვლინდა. შემთხვევების კლება, სავარაუდოდ, ცხოველთა უკეთესი მოვლის პირობებს უკავშირდება, – აღნიშნა ხათუნა ზახაშვილმა.

ემზარ კვიციანი: „150-კაციან საარჩევნო სიაში 50% თუ ქალი იქნა, ბავშვებს ვინ გაზრდის?“

შორენა მარსაგიშვილი

პატრიოტთა ალიანსის ერთ-ერთ ლიდერს, დეპუტატ ემზარ კვიციანს, შესაძლოა, ქალები აუმხედრდნენ. სუსტი სქესის წარმომადგენლების რისხვა მან გუშინ, 13 სექტემბერს, გაკეთებული განცხადების გამო დაიმსახურა.

საქართველოში ბოლო ხანებში აქტიურად მიდის საუბარი იმაზე, რომ საარჩევნო სიაში გენდერული კვოტირება უნდა მოხდეს. არასამთავრობოების ნაწილი მიიჩნევს, რომ საარჩევნო სიაში 50% კაცები უნდა იყვნენ, 50% კი – ქალები.

გენდერული თანასწორობის იდეებს პარტიებმა წინა არჩევნებზე მეტ-ნაკლები პატივი მიაგეს. სიაში ქალები თითქმის ყველა პარტიამ ჩაწერა, მაგრამ ისინი მაინც უმცირესობაში აღმოჩნდნენ.

ამ მხრივ ყველაზე კარგად საქმე პატრიოტთა ალიანსს ჰქონდა. ამ პარტიამ პარლამენტში 6 დეპუტატი გაიყვანა, აქედან 3 კაცია და 3 ქალი.

მართალია, პარტიაში გენდერული თანასწორობა დაცული აქვთ, მაგრამ დეპუტატი ემზარ კვიციანი გენდერული კვოტირების წინააღმდეგია.

თავისი უარყოფითი პოზიცია მან პარლამენტის თვითმმართველობის კომიტეტის სხდომაზე დააფიქსირა.

დეპუტატი მიიჩნევს, რომ პარტიების საარჩევნო სიაში გენდერული კვოტირების თაობაზე არანაირი ვალდებულება არ უნდა არსებობდეს. ამტკიცებს, ქალებს პოლიტიკაში მოსვლას არავინ უშლის.

– ქალბატონები აკეთებთ იმას, რაც გინდათ. გინდათ, პოლიტიკაში წასვლა – წახვალთ და წინ არავინ გეღობებათ. დამოკიდებულება, რომ გინდა თუ არა პარტიაში 50 პროცენტი ქალი უნდა გყავდეს, ასე არ უნდა იყოს. პრინციპულად ვეთანხმები იმას, რომ ქალებს თავისუფლება ჰქონდეთ და პოლიტიკაში რაც შეიძლება მეტი ქალი იყოს წარმოდგენილი, მაგრამ ეს დაძალება არ უნდა იყოს, – აღნიშნა კომიტეტის სხდომაზე კვიციანმა.

ემზარ კვიციანი საარჩევნო სიის გენდერულ კვოტირებას პარტიებზე ერთგვარ ძალადობად მიიჩნევს. იხსენებს მისი მშობლიური პარტიის წარდგენილ ინიციატივას, რომელიც დაუწუნეს, ალიანსი ითხოვდა, რომ არჩევნებზე მისვლა სავალდებულო ყოფილიყო.

– ჩვენს პარტიას სურს, რომ კონსტიტუციაში ჩანაწერი იყოს, არჩევნებზე მისვლა სავალდებულო გახდეს და თურმე, ეს იმის გამო არ შეიძლება, რომ ეს დაძალებაა. შესაძლებელია, რომ ზარმაცი ადამიანი იძულებით გამოიყვანო, რათა არჩევნების გაყალბება არ მოხდეს, მაგრამ ეს არ შეიძლება და ის შეიძლება, რომ პარტიაში ქალი იძულებით მოგაყვანინონ? – იკითხა კვიციანმა.

დაძალებაზე მეტად მას სხვა საკითხი აშფოთებს. ამბობს, რომ შესაძლოა ბავშვები დედის გარეშე გაიზარდონ.

– საქართველოში 240 პარტიაა და პარტიული სია 150 ადამიანით დაკომპლექტებული რომ იყოს, სადაც ნახევარი ქალი იქნება, ბავშვებს ვინ გაზრდის?! არიან ქალები, რომლებიც ბავშვებს ზრდიან და ოჯახს უფრო უვლიან, მაგრამ არიან ქალები, რომელთაც პოლიტიკაში ყოფნა ურჩევნიათ, – ასეთია ალიანსის ერთ-ერთი ლიდერის პოზიცია.

ლევან იზორია: „ამერიკა საქართველოს გვერდითაა“

ნათია ხურცილავა

ვაშინგტონში აშშ-საქართველოს თავდაცვისა და უსაფრთხოების სამუშაო ჯგუფის მიერ ერთობლივი განცხადება გაკეთდა. განცხადებაში ამერიკამ აღშფოთება გამოხატა ე.წ. სადემარკაციო სამუშაოებისა და გამშვები პუნქტების დახურვის გამო. ასევე, რუსეთს კვლავ მოუწოდა, საქართველოს რეგიონებიდან, აფხაზეთიდან და სამხრეთ ოსეთიდან 2008 წლის ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმების შესაბამისად, თავისი შეიარაღებული ძალები გაიყვანოს.

აღნიშნულ განცხადებას გუშინ, 13 სექტემბერს, თავდაცვის მინისტრი გამოეხმაურა.

– მთავარი სტრატეგიული მოკავშირე ამერიკის შეერთებული შტატები საქართველოს გვერდითაა, – ასე აფასებს აშშ-ის განცხადებას საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების მიმართ თავდაცვის მინისტრი ლევან იზორია.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, რამდენიმე დღის წინ ვაშინგტონში, სტრატეგიული თანამშრომლობის ფარგლებში, სამუშაო ჯგუფის შეხვედრა შედგა, რომელიც თავდაცვისა და უსაფრთხოების საკითხებს ეხება და სწორედ ამ ჯგუფის მუშაობის შედეგად გაკეთდა აღნიშნული განცხადება.

– რამდენიმე დღის წინ ვაშინგტონში შედგა სტრატეგიული თანამშრომლობის ფარგლებში სამუშაო ჯგუფის შეხვედრა, რომელიც თავდაცვისა და უსაფრთხოების საკითხებს ეხებოდა. სწორედ ამ ჯგუფის მუშაობის შედეგად ეს მკაფიო განცხადება იქნა მიღებული. ამ ერთობლივ განცხადებაში მკაფიოდ არის ასევე შეშფოთება იმასთან დაკავშირებით, რომ საოკუპაციო ხაზთან ე.წ. სასაზღვრო გამშვები პუნქტები დაიხურა. ჩვენ, ჩვენს სტრატეგიულ პარტნიორებთან ერთად, მაქსიმალურად ყველა საერთაშორისო ტრიბუნას ვიყენებთ იმისთვის, რომ ჩვენს მისწრაფებებში მტკიცენი ვიყოთ, კერძოდ, ჩრდილოატლანტიკურ სივრცეში ინტეგრაციის თვალსაზრისით. ასევე, მტკიცენი ვიყოთ დეოკუპაციის მიმართულებით ძალიან მკაფიო და მკაცრი პოლიტიკის განხორციელების თვალსაზრისით. ამ განცხადებების ფარგლებში გაჟღერდა გზავნილები მოსკოვის მისამართით, რომ გაყვანილ იქნას ოკუპირებული ტერიტორიებიდან რუსეთის ფედერაციის სამხედრო შენაერთები და სამხედრო ტექნიკა. ეს ცალსახად მოწმობს ამ პოლიტიკის დღის წესრიგში არსებობასა და მის აქტუალობას, – განაცხადა ლევან იზორიამ.

როგორც ცნობილია, აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე რუსეთის სამხედრო-ტაქტიკური წვრთნები დაიწყო. წვრთნებში 300 ერთეული სამხედრო მოსამსახურე და სამხედრო ტექნიკა არის ჩართული.

სამხედრო წვრთნები კვირის ბოლომდე გაგრძელდება.

თავდაცვის მინისტრი ლევან იზორია აფხაზეთში დაწყებულ სამხედრო წვრთნებს საერთაშორისო ნორმების დარღვევად აფასებს.

როგორც იზორიამ ჟურნალისტებს განუცხადა, წვრთნებს ქართული მხარე საფრთხედ აღიქვამს.

– ყველა ტიპის აქტივობა ოკუპირებულ ტერიტორიებზე ანუ ჩვენს ტერიტორიებზე, განსაკუთრებით სამხედრო თვალსაზრისით, არის ანტიკონსტიტუციური, უკანონო და აქვს საერთაშორისო საზოგადოებისგან მკაცრი კრიტიკა და გაკიცხვა. ჩვენ ამას აღვიქვამთ, როგორც საფრთხეს და ვამბობთ, რომ ეს არის მორიგი დარღვევა საერთაშორისო სამართლებრივი ნორმების, – განაცხადა იზორიამ.

თავდაცვის მინისტრი მიმდინარე წელს განსაკუთრებულს უწოდებს ჩრდილოატლანტიკური ალიანსთან ურთიერთობის თვალსაზრისით. ნატოსთან და ნატოს წევრ ქვეყნებთან ურთიერთობა დინამიკურია, ამბობს იზორია.

– წელს განსაკუთრებული წელი გვქონდა ნატოს მიმართულებით. ჩვენ გვეწვია ნატოს სამხედრო კომიტეტი, მოგვიანებით ნატოს საპარლამენტო ასამბლეა. სულ რაღაც ერთი თვის წინ ჩავატარეთ ამერიკა-საქართველოს თავდაცვის ურთიერთობაში უპრეცედენტო წვრთნები თავისი მასშტაბებით, სადაც ასევე სხვა ქვეყნებიც მონაწილეობდნენ. საუბარია წვრთნებზე „ღირსეული პარტნიორი და მებრძოლი სული“, რომელიც ორი დღის წინ დასრულდა.

ჩვენ ვიწყებთ ასევე მნიშვნელოვან და ყველაზე ამბიციურ პროგრამას მთავარ სტრატეგიულ პარტნიორთან ერთად. ეს გახლავთ საქართველოს თავდაცვის მზადყოფნის პროგრამა, რომელიც ამ მზარდი დინამიკის მნიშვნელოვანი ნაწილია, რომელიც გულისხმობს მომავალი წლის მარტიდან 9 ბატალიონის მომზადებას. სამი წლის განმავლობაში თითქმის სრულად გადამზადდება ქართული შეიარაღებული ძალები.

ისინი უკვე არა მხოლოდ საერთაშორისო მისიებისთვის, აუცილებელი ამოცანების განსახორციელებლად იქნებიან მზად, არამედ ტერიტორიული თავდაცვისთვის, რაც ჩვენს თავდაცვის შესაძლებლობას კიდევ უფრო გაზრდის და გააძლიერებს, ეს კიდევ უფრო განამტკიცებს ნატოსთან თავსებადობას, – განაცხადა თავდაცვის მინისტრმა.

ლევან იზორიამ საერთაშორისო კონფერენციაზე, რომელიც თბილისში ორი დღის მანძილზე ტარდებოდა, შეკრებილ ევროპელ და ამერიკელ მაღალჩინოსნებსა და დიპლომატებს მოუწოდა, რომ ევროკავშირის მოქალაქეებმა, რაც შეიძლება მეტი ინფორმაცია მიიღონ „ღირსეული პარტნიორის“ შესახებ. იმ საერთაშორისო მისიებში, ოპერაციებში ქართველი სამხედროების ჩართულობისა და მონაწილეობის შესახებ, რომელშიც საქართველო ნატოს წევრ სახელმწიფოებთან ერთად არის ჩაბმული.

„აზიური ფაროსანის განადგურება იოლი არ იქნება“

გიორგი გაჩეჩილაძე: „მავნებელი საქართველოში რუსეთიდან შემოვიდა“

გულიკო ბალაძე

პარლამენტის წევრი და მწვანეთა პარტიის ლიდერი გიორგი გაჩეჩილაძე „ახალ თაობასთან“ ახალ მავნებელ აზიურ ფაროსანაზე საუბრობს.

გიორგი გაჩეჩილაძე:

– აზიური ფაროსანა შეესია სამეგრელოსა და გურიის ნაწილს და ძალიან სერიოზული პრობლემები შეუქმნა ადგილობრივ ფერმერებს. ძალიან მტკივნეული პრობლემაა. ეს არის ახალი მავნებელი, რომელიც მხოლოდ საქართველოში კი არ არის, არამედ უდიდესი პრობლემაა ამერიკის შეერთებული შტატებისთვის, გავრცელებულია ევროკავშირის ტერიტორიაზე და რუსეთშიც.

– რით არის გამოწვეული ამ მავნებლის ფართო გავრცელება?

– კლიმატური ცვლილებები და გლობალური დათბობა იწვევს ტყის ახალი მავნებლის გავრცელებას. ახალი სახეობა ძალიან ბევრია. პესტიციდებიც კი, რომელიც ახალ მავნებელთან დაკავშირებით გამოიყენება, ნაკლებად ეფექტურია. ამიტომ მიდის ძიება, როგორმე ისეთი პესტიციდი შეიქმნას, რითაც შეიძლება ეშველოს. ძალიან რთული პრობლემაა. სოფლის მეურნეობის მინისტრმა თქვა, რომ ამ პრობლემის დაძლევა შესაძლებელია. არსებობს ტექნოლოგიები, მავნებლის მექანიკური განადგურების შესაძლებლობები. სოფლის მეურნეობის სამინისტროს რეკომენდაციები გაცემული აქვს.

– თუკი სოფლის მეურნეობის მინისტრი ამბობს, რომ აზიური ფაროსანას განადგურების გეგმა შედგენილია, მაშინ პრობლემა რა არის?

– პრობლემა ისაა, რომ მისი განადგურება იოლი არ არის. აზიური ფაროსანა შარშან გამოჩნდა და მასობრივად გავრცელდა საქართველოში.

– საიდან გამოჩნდა?

– აზიური ფაროსანა რუსეთიდან შემოვიდა. ამიტომ, ვფიქრობ, დივერსიული აქტი ხომ არ არის. სერიოზული საკითხია. ამიტომ ჩვენს სახელმწიფოს ძალიან დიდი პრობლემა აქვს ფიტოსანიტარიული კონტროლის მექანიზმებთან დაკავშირებით.

ფიტოსანიტარიული კონტროლი არის ისეთი კონტროლი საზღვრებზე, რომელიც ხელს შეუშლის აზიური ფაროსანას მსგავსი მავნებლის ან სარეველას შემოსვლას საქართველოს ტერიტორიაზე, რომელიც მძიმე შედეგს გამოიწვევს.

– ყველამ ვიცით, რომ ნაცმოძრაობის დროს, საზღვრებზე ყველანაირი ფიტოსანიტარიული კონტროლი გაუქმდა. ნაცხელისუფლების ცვლილების შემდეგ, ფიტოსანიტარიული კონტროლი საზღვრებზე ახალმა ხელისუფლებამ არ აღადგინა?

– ძალიან დიდი სიძნელეებია. ჩემი განცხადების შემდეგ, სოფლის მეურნეობის მინისტრმაც აღნიშნა, რომ, ფაქტობრივად, დანგრეული სისტემა დაგვხვდა. 2005 წლის 24 ივნისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი (ამ ფაქტიდან რამდენიმე დღის შემდეგ პრესკონფერენცია გავმართე და განვაცხადე, რა შედეგსაც მოიტანდა ამ კანონის მიღება), რომლის საფუძველზე საქართველოში გაუქმდა ფიტოსანიტარიული და ვეტერინარული კონტროლი.

წარმოიდგინეთ, ფაქტობრივად, საქართველოში მთლიანად მოიშალა ფიტოსანიტარიული და ვეტერინარული კონტროლი. ვეტერინარული სამსახურის შესუსტება ნიშნავდა ჯილეხისა და სხვადასხვა ტიპის უმძიმესი დაავადებების გავრცელებას. ამ გადაწყვეტილების გამო, ძალიან მალე რუსეთმა ქართული პროდუქციისთვის ბაზარი დაკეტა. რუსეთის საზღვარს მიადგა დიდი რაოდენობით პროდუქცია, რუსეთის ფიტოსანიტარიულმა სამსახურმა მათ მოსთხოვა ფიტოსანიტარიული სერთიფიკატი. ეს არის საერთაშორისო კონვენციებით, გაეროს კონვენციებით უმკაცრესად დარეგულირებული საკითხი. ყველა ქვეყანა იცავს თავის სოფლის მეურნეობას მავნებლებისა და სხვადასხვა სარეველებისაგან, რომელმაც ქვეყანას შეიძლება სოფლის მეურნეობა გაუნადგუროს და უდიდესი პრობლემა შეუქმნას. ნაცმოძრაობის ხელისუფლებამ კონვენციებიც კი დაარღვია.

ამან გამოიწვია ის, რომ 2005 წლიდან მოყოლებული ჩაიკეტა სოფლის მეურნეობის ბაზარი საქართველოსთვის და ქართველ გლეხს 800 მილიონი დოლარის ზარალი მიადგა. პროდუქცია ვეღარ გაიტანა.

– მათ შემდეგ ფიტოსანიტარიული კონტროლის აღდგენა ვეღარ მოხერხდა?

– 2012 წელს ხელისუფლებაში რომ მოვედით, მივიღეთ კოდექსი და მთლიანად აღვადგინეთ სამსახურები. დანგრევა ძალიან იოლია. ფიტოსანიტარიული კონტროლი აღდგა, მაგრამ ყველაფერს დრო უნდა. ნულიდან გაწყებინებენ, შემდეგ მოდიან და თავსსავე ჩადენილ დანაშაულზე პასუხს გთხოვენ.

– პრობლემა მხოლოდ ეს იყო? თქვენ თქვით, ფაროსანა რუსეთიდან შემოვიდა.

– დიახ, ფაროსანა რუსეთიდან შემოვიდა, რადგან ოკუპირებული ტერიტორიების ადმინისტრაციულ საზღვრებზე კონტროლი გართულებულია. აქედან გამომდინარე, სოფლის მეურნეობის სამინისტრო აცხადებს, რომ ისინი აპირებენ გარკვეულ ღონისძიებებს მიმართონ. ამ კუთხით ძალიან რთული ვითარებაა აფხაზეთშიც.

– აზიური ფაროსანა სამეგრელოში რუსეთიდან აფხაზეთის გავლით შემოვიდა?

– კი არ ვფიქრობ, ასეა.

– ფსოუს საზღვარზე, ფიტოსანიტარიული კონტროლი თუ არ დაწესდა, ისე ვერაფერს გავხდებით?

– თუ ფსოუს საზღვარზე ფიტოსანიტარიული კონტროლი არ დაწესდა, შეიძლება ჩვენ კიდევ ვიყოთ ახალ-ახალი დივერსიების მოწმე.

– ნამდვილად დივერსიაა?

– ეს ჩემი ვერსიაა.

– ანუ შეიძლება შეგნებულად გააკეთეს.

– აბა, დივერსია რას ნიშნავს? რუსეთმა შეგნებულად დაგვაზიანა, მაგრამ რუსებმა აფხაზეთიც ძალიან დააზიანეს. სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციების დახმარებით, ჩვენ გვაქვს შესაძლებლობა, მაქსიმალურად ვიმუშაოთ ამ პრობლემის მოსაგვარებლად, მაგრამ აფხაზეთს ვინ დაეხმარება.

– არ არის მცდელობა, ამ საკითხთან დაკავშირებით აფხაზეთთან მოლაპარაკებები შედგეს და შევთავაზოთ დახმარება? აფხაზეთი, სამეგრელო, ეს ხომ ერთიანი სივრცეა და ვერანაირად ვერ შეაკავებ ფაროსანას, აფხაზეთიდან რომ არ გავრცელდეს, თუ იქაც არ მოსპე პესტიციდებით.

– კარგი იქნება, აფხაზეთის მოსახლეობასთან ერთად რომ ვებრძოლოთ ამ უბედურებას.

– აზიური ფაროსანა რუსეთის ტერიტორიაზე მასობრივადაა გავრცელებული?

– რა თქმა უნდა. საერთოდ, აზიური იმიტომ ჰქვია, ჩინეთსა და აზიურ ქვეყნებში იყო გავრცელებული და იქიდან გადავიდა ევროპასა და შეერთებულ შტატებში.

– ჩინეთიდან ვერ შემოვიდოდა?

– ჩინეთიდან ვერ შემოვიდოდა, რადგან იქ ოფიციალურ საზღვრებზე მკაცრი ფიტოსანიტარიული კონტროლია. მე ვსაუბრობ იმ ტერიტორიიდან მავნებლის გავრცელებაზე, რომელიც ვერ კონტროლდება.

„არასდროს მჭონია განცდა, რომ „ნაღდი“ თბილისელი ვიყავი“

სოფელში გადაბარგებული თბილისელი ქალის მეურნეობა

– შეიძლება ცოტა არადამაჯერებლადაც ჟღერდეს, მაგრამ სოფლად ცხოვრება ყოველთვის მინდოდა. ბიჭები, რომლებიც მიყვარდებოდნენ, ან მოხეტიალეები იყვნენ, ან რეგიონში დაბადებულები და გაზრდილები. ამას წინათ გავაცნობიერე, რომ ჩემი პროფესიული ინტერესებიც სწორედ ამ თემებს უტრიალებდა – რომანტიზმი ლიტერატურაში, სენტიმენტალური რომანი, ბუკოლიკური და პასტორალური პოეზია, ღვინის ჟურნალისტიკა, – წერს ბიზნესმენი ნინო გამისონია.

ნინო გამისონია:

– თბილისელი ვარ, ჩემი ბებიები და ბაბუები 40-იან წლებში (ზოგი უფრო ადრეც) ჩამოვიდნენ განათლების მისაღებად დედაქალაქში და საქმიანობა თავიანთ სფეროებში აქვე განაგრძეს, ძირითადად, აკადემიური მიმართულებით.

მიუხედავად ამისა, არასდროს მქონია განცდა, რომ „ნაღდი“ თბილისელი ვიყავი. არც იმ „ურთიერთობის“ ნაწილი ვყოფილვარ, რომლის მთავარი ფასეულობა სოციალური მიკუთვნებულობაა და არა – პიროვნული ღირსებები. არც ბებია-ბაბუები და არც ჩემი მშობლები ზრუნავდნენ, რომ ჩემი მთავარი იმუნიტეტი სწორედ ეს სოციალური გარსი – „ურთიერთობა“ და „პატრონობა“ ყოფილიყო. ალბათ, ამიტომ არ გამიჭირდა გადაწყვეტილების მიღება მარტვილში საცხოვრებლად გადასვლაზე, როცა ამისი საჭიროება დადგა.

ჩემს ქმარს მარტვილში საოცარი მეგრული ოდა ჰქონდა, რომელიც მისმა დიდმა ბაბუამ და ბებიამ მეოცე საუკუნის 30-იან წლებში ააშენეს. ოდაში ყოველ ზაფხულს ორიოდე კვირით ჩავდიოდით დასასვენებლად და ვნატრობდით იქ ცხოვრებაზე. დიდი ხნის მანძილზე ეს სურვილი ოცნებად რჩებოდა, სანამ დაცული ტერიტორიების სააგენტომ მარტვილის კანიონის ადმინისტრაცია არ შექმნა და ხელმძღვანელობა ზაზას – ჩემს მეუღლეს შესთავაზა.

გადაწყვეტილების მიღებაზე დიდხანს არ გვიჭოჭმანია. გვქონდა ახალი გარემოს გაცნობის, ახლის შექმნის დიდი ვნება. გარდა ამისა, ფიქრობდით, რომ სოფლად ცხოვრება ბავშვებისთვისაც უკეთესი იქნებოდა – დიდი ეზო, ნაკლები ტექნიკა, სუფთა ჰაერი და ჯანსაღი კვება. განათლების ხარისხით მუნიციპალური ცენტრების – ოზურგეთის, მარტვილის, სენაკის, ქუთაისის, თელავის და სხვ. – სკოლები თბილისის ზოგადი განათლების სასწავლებლებს ნამდვილად არ ჩამოუვარდება. ამის დასტური ერთიანი ეროვნული გამოცდებიცაა. როგორც წესი, უმაღლეს ქულებს ბავშვები სწორედ რეგიონებიდან იღებენ ხოლმე.

საერთოდ, არაფერია იმაში უცნაური და საგმირო, თუკი ადამიანი/ოჯახი ცხოვრების სხვადასხვა ეტაპზე სხვადასხვა ქალაქში იცხოვრებს. ასე ხდება ევროპის ძალიან ბევრ ქვეყანაში, მათ შორის, გერმანიაში, სადაც მხარეებს (ლანდ) ჰყავთ სხვადასხვა ხელისუფლება, აქვთ დამოუკიდებელი კანონები და ძალიან განსხვავებული კულტურული და სოციალური გარემო. საქსონიიდან ბავარიაში საცხოვრებლად გადასვლისას მოზარდს ხვდება სრულიად სხვა ეროვნული სასწავლო გეგმა, საგნობრივი სტანდარტები და სახელმძღვანელო მასალა. წარმოიდგინეთ, ეს რამხელა სირთულეებთანაა დაკავშირებული... მიუხედავად ამისა, ადამიანები იცვლიან საცხოვრებელ ადგილს ახალი სამსახურებრივი შეთავაზებების, ახალი ბიზნესის წამოწყების და სხვა გამოწვევების შესაბამისად. გარემოს ცვლა ეხმარება, ერთი მხრივ, ინდივიდს, დაძლიოს სოციალური და კულტურული სტერილურობა, იყოს მოქნილი სხვადასხვა გამოწვევების მიმართ. მეორე მხრივ, სახელმწიფოს, რომლის სხვადასხვა რეგიონზეც დადებითად აისახება იდეების გაცვლა-გამოცვლა, ახალი რესურსების შემოდინება.

ასე ხდებოდა საქართველოში მე-19 საუკუნის მიწურულს და მე-20-ს დასაწყისში. კულტურული პროცესები თბილისში რეგიონიდან გადასხმული სისხლით პულსირებდა, სოფლის მეურნეობის „ჭაპანს“ კი დასავლეთში განათლებამიღებული სწავლული მეურნეები სწევდნენ.

❖ ❖ ❖

– ახალ გარემოში ცხოვრება არ არის ადვილი. თან მიგყვება შემოქმედებითი განწყობა და დიდი ენთუზიაზმი, მეორე მხრივ, ძველ გარემოში ტოვებ სიმბოლურ კაპიტალს. ასე მოხდა ჩემს შემთხვევაშიც. თბილისში პროფესიულ წრეებში ასე თუ ისე დამკვიდრებული ახალგაზრდა მეცნიერის, ლიტერატურის კრიტიკოსის სახელი ცოლის სტატუსმა ჩაანაცვლა. ისეთი კეთილშობილი და ღირსეული ადამიანის ცოლობა, როგორიც ჩემი ქმარია, ცხადია, ჩემი ერთ-ერთი საპატიო სტატუსია, თუმცა, არა – ერთადერთი. ამას ემატებოდა ის გარემოება, რომ ჩემს დისტანციურ სამუშაოს სახლიდან ვასრულებდი, რაც ხშირად, ოჯახური საქმეების ხარჯზე, მეორეხარისხოვანი ხდებოდა. გარშემო არ მყავდნენ მშობლები, ბავშვობის მეგობრები, ნათესავები, არ ვიცოდი მეგრული და არც გარემოს ვიცნობდი კარგად. მეუღლეც – ერთადერთი მეგობარი და მახლობელი, თავისი სამსახურის სპეციფიკიდან გამომდინარე, ხშირად გვიან მოდიოდა. იყო პერიოდები, როცა ვგრძნობდი, რომ ეს გარემოებები ჩამყლაპავდა, თუ არ მოვიკრებდი ძალას და გავაკეთებდი რაიმეს, მნიშვნელოვანსა და სასარგებლოს.

მეგობრებს, ახლობლებს ძალიან აკვირვებდათ ჩემი გადაწყვეტილება. ბევრი თვლიდა, რომ ავჩქარდი. საქმე ისაა, რომ მარტვილში გადასვლასთან ერთად მომიხდა ლიტერატურის ინსტიტუტის დატოვება, სადაც ათი წლის მანძილზე ვმუშაობდი. ამას დაერთო ისიც, რომ სწორედ წასვლის წინა დღეებში ერთ-ერთ საერთაშორისო პროგრამასთან ძალიან საინტერესო ფუნქციით თანამშრომლობა შემომთავაზეს. მიუხედავად ამისა, გადაწყვეტილების შეცვლაზე არ მიფიქრია. ღრმად მწამდა, რომ ეს „პროექტი“ გაამართლებდა.

ღვინის წარმოება მანამდე დავიწყე, ვიდრე თბილისს დავტოვებდით, 2015 წელს. აქედან იწყება საოჯახო მარნის – „ოდას“ ისტორია. 2016 წელს გავაშენე ვენახი და მას მერე, რაც მარტვილში დავსახლდით, ღვინის ტურიზმზე ფიქრიც არ გვასვენებდა.

პირველ წელს პროგრამაში – „აწარმოე საქართველოსთვის“ დაფინანსებაზე უარი მივიღე მაშინ, როცა ველოდი, რომ სოფლად მცხოვრებ ახალგაზრდებს სახელმწიფო უდავოდ წაახალისებდა. ისე მოხდა, რომ ამ ფაქტს სოციალურ ქსელში გამოვეხმაურე, ჩემი სტატუსი ბუნებრივი მეღვინეობის ქომაგებმა – თბილისის ღვინის ერთ-ერთი საუკეთესო ბარის მფლობელებმა ნახეს და დახმარება შემოგვთავაზეს. იმდენად მოტივირებულები ვიყავით, თავპატიჟი არ დაგვიწყია და მადლიერებით მივიღეთ ამ საოცარი ადამიანებისგან მხარდაჭერის შემოთავაზება. მათი გვერდში დგომით, დღეს საოჯახო რესტორანი „ოდა“ უკვე არსებობს და ასეთ მოკლე დროში ბევრ სტუმარს გააცნო მეგრული მევენახეობა-მეღვინეობა და აქაური დიდი გასტრონომიული კულტურა.

მეგობრების დახმარებით ჩვენ შესახებ ბევრმა შეიტყო საქართველოშიც და მის ფარგლებს გარეთაც. სულ 3 თვეა, რაც ტურისტებს ვმასპინძლობთ და უკვე 300-ზე მეტი სტუმარი გვყავდა. პირველივე სეზონზე ეს ციფრი საოჯახო რესტორნისთვის საკმაოდ დიდი მიღწევაა. ბევრი პროფესიონალი ესტუმრა „ოდას“ – ღვინის მწერლები, სომელიეები, მეღვინეები, ღვინის მარკეტინგის ექსპერტები. როგორ შეიძლება, არ იამაყო, როცა ასეთი გამოცდილების ადამიანები სოციალურ ქსელში შენი მარნისა და ვენახების ფოტოებს აქვეყნებენ და წერენ, რომ საქართველოს მეღვინეობის მომავალი ეს არის, რომ შენი თეთრი ოჯალეში მათი ფავორიტი ღვინოების სამეულშია, სადილი „ოდაში“ კი პირველ ადგილზეა იმ მაღალი კლასის სადილებს შორის, რაც მოწვეულმა ექსპერტებმა საქართველოში გამოსცადეს.

თუმცა სიამაყის ეს განცდა ვერ უტოლდება იმ შეგრძნებას, როცა შენს ქვეყანაში გამოცდილებების მაძიებელ სტუმარს თვალებში სიხარულის სხივი უკრთის და ორივე ხვდებით, რომ ბუნებრივმა ღვინომ, ვენახმა, საუკუნის წინ დიდი ბაბუის მიერ აშენებულმა ოდამ, მდინარემ, რომე-

გაგრძელება მე-6 გვერდზე

ბორჯომის ხანძრის გამო ბორჯომის გამგეობის 11 მოხელე 10.150 ლარის ოდენობის პრემიას მიიღებს, მეხანძრეები კი ჯერ ისევ პრემიის გარეშე არიან

აგვისტოში ბორჯომის ტყეში გაჩენილი ხანძრის სალიკვიდაციო სამუშაოებში აქტიური მონაწილეობისთვის ბორჯომის მუნიციპალიტეტის გამგებელი და გამგეობის რამდენიმე თანამშრომელი ფულად ჯილდოს მიიღებენ.

ამის შესახებ ბორჯომის მუნიციპალიტეტის გამგებლის დიმიტრი ყიფიანის 7 სექტემბრის ბრძანებაშია ნათქვამი. დოკუმენტის ფოტოები სოციალურ ქსელ „ფეისბუქში“ გავრცელდა.

– მეხანძრეები ცეცხლს აქრობდნენ და ყიფიანი პრემიას ინიშნავდა სტიქიის გამო. სასწრაფოდ მოითხოვეთ, ბორჯომის მეხანძრეებსა და სამაშველო სამსახურის თანამშრომლებს ხელფასები მოუმატონ, – წერენ მოქალაქეები სოციალურ ქსელში.

დოკუმენტის თანახმად, ხანძრის სალიკვიდაციო სამუშაოებში აქტიური მონაწილეობისთვის გამგეობის 11 მოხელეზე პრემიის სახით ჯამში 10.150 ლარი გამოიყო. აქედან, ყველაზე მეტი 1.250 ლარი გამგებლის, მისი პირველი მოადგილისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილების ხელმძღვანელის სახელზეა გამოწერილი.

აღნიშნული დოკუმენტის მისაღებად, „ბიზნესპრესნიუსი“ ბორჯომის მუნიციპალიტეტის გამგეობას დაუკავშირდა, სადაც განაცხადეს, რომ ეს არის შიდა ბრძანება, რომლის მისაღებად მისი საჯარო ინფორმაციის წესით გამოთხოვაა საჭირო. რის შემდეგაც, ბრძანებას კანონის შესაბამისად 10 დღის ვადაში მივიღებდით.

ოფიციალური სტატისტიკის თანახმად, 31 აგვისტოს მდგომარეობით, ქვეყნის მასშტაბით ჯამში, 3.322 მეხანძრე-მაშველი იყო დასაქმებული. მათი ყოველთვიური ანაზღაურება თბილისში 930 ლარს (საშემოსავლო გადასახადის ჩათვლით), ხოლო რეგიონებში 630 ლარს (საშემოსავლო გადასახადის ჩათვლით) შეადგენს.

ბპნ

ენერგეტიკის სამინისტრო ინვესტორებს პასუხობს

ენერგეტიკის სამინისტრო ინვესტორებს პასუხობს. როგორც მინისტრის მოადგილემ თორნიკე რიჟვაძემ „საქმის კურსს“ განუცხადა, ერთ დღეში კერძო სექტორისთვის წესები არ იცვლება და სამინისტრო დაინტერესებულ მხარეებთან გადაწყვეტილებების მიღების პროცესში კომუნიკაციას მაქსიმალურად ცდილობს.

– ერთ დღეში წესები არ იცვლება. ეს ცოტა უტრირებული ნათქვამია, მაგრამ ჩვენ სამართლებრივი სტაბილურობის კუთხითაც ვცდილობთ, რომ ეს დაინტერესებული მხარეები, ვისზეც შეიძლება გარკვეული ზემოქმედება გვქონდეს, ნებისმიერი ცვლილების პროცესში – წესებსა თუ სხვა ნორმატიულ აქტებში, აქტიურად იყვნენ ჩართულნი, მაგრამ ის ცვლილებები, რაც უნდა განხორციელდეს, ბუნებრივია, განხორციელდება. ეს დინამიური პროცესია, – განაცხადა რიჟვაძემ.

მისივე თქმით, ენერგეტიკულ გაერთიანებაში შესვლის შემდგომ საქართველომ აიღო ვალდებულება, რომ მთელი რიგი ახალი საკანონმდებლო პაკეტი შემუშავდეს.

– ეს პროცესი დინამიურად მიდის და ძალიან მალე გვექნება ახალი კანონი, როგორც ელექტროენერგეტიკის ბაზარზე, ისე გაზის კუთხით, – აღნიშნა მან.

შეგახსენებთ, რომ კომპანია „ენერჯი სოლუშენის“ ხელმძღვანელმა გიორგი აბრამიშვილმა საქმის კურსთან საუბრისას განაცხადა, რომ ენერგეტიკის სამინისტროს გადაწყვეტილებით, მიმდინარე წლის მარტში, ერთ დღეში, დერეგულირებული სადგურებისთვის ელექტროენერგიის ფასი 14-დან 9 თეთრამდე შემცირდა, რაც კერძო სექტორისთვის მოულოდნელი იყო და ეს ფაქტი უცხოელი ინვესტორებისთვის არასტაბილურობის შეგრძნებას აჩენს.

კომერსანტი

მეხანძრე-მაშველებს ამერიკის საელჩოს მიერ გადაცემული ცეცხლგამძლე ფეხსაცმელი ჯერ არ მიუღიათ

ბორჯომის ხეობაში მომუშავე მეხანძრე-მაშველებს სპეციალური, ცეცხლგამძლე ფეხსაცმელი ჯერ არ მიუღიათ.

საუბარია, ამერიკის საელჩოს მიერ სტიქიაში მონაწილე მეხანძრე-მაშველებისთვის 26 აგვისტოს გადაცემულ 500 წყვილ ფეხსაცმელზე.

ამის შესახებ, „ბიზნესპრესნიუსს“ საგანგებო სიტუაციების სამსახურში განუცხადეს. მათივე ცნობით, ამ ეტაპზე ფეხსაცმელი მათ ბაზაზე, საწყობშია.

– მეხანძრე-მაშველები ჯერ კიდევ მთაში გვყავს, რადგან მართალია ხანძრები ჩავაქრეთ, მაგრამ პრევენციული ღონისძიებები მიმდინარეობს. როგორც კი ეს პროცესი დასრულდება, გადაიხედება ყველაფერი და აღნიშნული ფეხსაცმელი იმ მეხანძრე-მაშველებს გადაეცემათ, ვისაც ყველაზე მეტად სჭირდება. იმ შემთხვევაში, თუ ეს ფეხსაცმელი საკმარისი არ აღმოჩნდა, სამსახურს აქვს რესურსი, რომ ყველა მეხანძრე-მაშველი უზრუნველყოს საჭირო ხანძარსაწინააღმდეგო აღჭურვილობით, – განაცხადეს საგანგებო სიტუაციების სამსახურში.

ბპნ

ალექსანდრე ჯეჯელავა: „ვაბრუნებთ დიდ შესვენებებს, სწორედ ამ დროს დარიგდება ვაშლი“

განათლებისა და მეცნიერების მინისტრი ალექსანდრე ჯეჯელავა აცხადებს, რომ სკოლაში ვაშლის დარიგების გადაწყვეტილება მედიკოსებთან და კვების სპეციალისტებთან კონსულტაციით მოხდა. მინისტრმა ამის შესახებ ტელეკომპანია „მაესტროსთან“ ისაუბრა. მისი თქმით, ვაშლი სკოლებში დიდი დასვენების დროს დარიგდება.

– ჩვენ ვაბრუნებთ დიდ შესვენებებს, რომელიც ბოლო დროს შეკუმშული იყო. ეს გადაწყვეტილებაც მივიღეთ იმიტომ, რომ წყნარად მირთმევის საშუალება ჰქონდეთ ბავშვებს, ვაშლი იქნება თუ სხვა საკვები. ამ დიდი დასვენების დროს დარიგდება ვაშლი, თითო ვაშლს მიიღებს თითო მოსწავლე, ვისაც სურვილი არ ექნება, რა თქმა უნდა, არავინ დააძალებს, რომ ასე მიირთვას, – განაცხადა ჯეჯელავამ.

კომერსანტი

მიკროავტობუსის მძღოლები ფიქსირებულ ხელფასს ითხოვენ

მიუხედავად იმისა, რომ ზაფხული უკვე გავიდა, მიკროავტობუსებში კონდიციონერების ჩართვის საკითხი, მაღალი ტემპერატურის გამო აქტუალობას არ კარგავს.

მგზავრები ისევ უკმაყოფილებას გამოთქვამენ, მძღოლები ამტკიცებენ, რომ კონდიციონერები გაფუჭებულია, კომპანია კი მათ ნათქვამს ტყუილს უწოდებს.

– არ მუშაობს, თუ გცხელათ შემდეგს დაელოდეთ, იქნებ მასთან მუშაობდეს“ – ასე უპასუხა მგზავრის თხოვნას კონდიციონერის ჩართვის თაობაზე №30 მიკროავტობუსის მძღოლმა და იქვე დაამატა, რომ დიდი ალბათობით სიგრილე არც შემდეგ მიკროავტობუსში იქნებოდა და არც იმის შემდეგში. „ჩვენს ხაზზე მარტო ერთ მანქანას უმუშავებს, დანარჩენში გაფუჭებულია, – დასძინა მძღოლმა.

მისივე თქმით, კომპანია მხოლოდ სპეციალურ სითხეს – ფრეონს ასხამს დაზიანებულ კონდიციონერებში, რომელიც ერთ დღეში იღვრება და ხელახლა ჩასასხმელი ხდება.

„მე თვითონ საკუთარი ხარჯებით გავაკეთებინე ხელოსანს კონდიციონერი, მაგრამ ახალია ეს სისტემა და არც არიან აქ მაგისი ხელოსნები. ამიტომ ისევ გაფუჭდა. კომპანია კი მოდის და ამ გატეხილ კონდიციონერში ფრეონს ასხამს. სამჯერ ჩამისხეს უკვე და ერთ დღეც ვერ ძლებს, რა აზრი აქვს კიდევ ჩასხმას? კომპანია ბევრ რამეს ამბობს, მაგრამ ფაქტი ისაა, რომ არსად მუშაობს,“ – აღნიშნა მძღოლმა და დასძინა, რომ მისთვის უცნობი მიზეზების გამო კომპანია მძღოლებს არც ლუქის გახსნის უფლებას აძლევს.

თავის მხრივ, „თბილისის მიკროავტობუსი“ მძღოლის ინფორმაციას სრულ სიცრუეს უწოდებს. მათი თქმით, კომპანია ყოველ ზაფხულს 200.000 ლარამდე ხარჯავს კონდიცირების სისტემის შესაკეთებლად მიუხედავად იმისა, რომ კონტრაქტი მათ ამას არ ავალდებულებს. „თბილისის მიკროავტობუსის“ საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსის ნათია მიქიაშვილის თქმით, კონტრაქტის მიხედვით, არა მხოლოდ კონდიციონერის, არამედ ნებისმიერი სხვა ტექნიკური პრობლემის მოგვარების პასუხისმგებლობა მძღოლებს ეკისრებათ.

– ტყუილია ის, თითქოს მხოლოდ ფრეონს ვუსხამთ. ასევე ისიც, თითქოს კონდიცირების ხელოსანი საქართველოში არ მოიძებნება. მიუხედავად ამისა, რომ კომპანია ფარავს იმ საწვავის მომატებულ ხარჯსაც კი, რასაც კონდიციონერის ჩართვა იწვევს, მძღოლების ნაწილი მაინც ცდილობს მოახმარებელი სიცრუეში შეიყვანოს.

თბილისში 1.800 მიკროავტობუსია. შესაძლოა რამდენიმე მათგანს მართლაც ჰქონდეს ტექნიკური პრობლემა, მაგრამ როგორც კი ეს ფიქსირდება, მიკროავტობუსი ხაზიდან გადის და შესაკეთებლად მიდის. მგზავრებს, ვისაც

ეს პრობლემა ექმნება, ვთხოვთ დარეკონ კომპანიაში. რეაგირების გარეშე არც ერთი ფაქტი არ დარჩება, – უთხრა „ბიზნესპრესნიუსს“ მიქიაშვილმა.

მოგეხსენებათ, სამარშრუტო ტაქსების მძღოლებს კომპანიაში ყოველდღიური გადასახადი შეაქვთ და მათი ანაზღაურება ისაა, რაც ამ გადასახადის მიღმა დარჩება. მძღოლები, რომლებიც „ბიზნესპრესნიუსს“ ესაუბრნენ და რომელთაც ვინაობის დასახელება არ ისურვეს, ამტკიცებენ, რომ დღიური გადასახადის გადახდა მათ იმ შემთხვევაშიც უწევთ, თუ მიკროავტობუსი სამუშაო დღის დასაწყისშივე გაფუჭდება.

– პირველი მგზავრი რომ მიადებს ბარათს გადასახდელად და დაფიქსირდება გადახდა, ეგ უკვე ნიშნავს იმას, რომ მე ფარეხიდან გამოვედი და მუშაობა დავიწყე. ანუ, გადასახადი ყველა ვარიანტში უნდა გადავიხადო. ხალხს ჰგონია ბევრი გვრჩება, არადა ტყუილია. ყველას გვირჩევნია დაქირავებული მძღოლები ვიყოთ – ფიქსირებული ანაზღაურება გვქონდეს და მიკროავტობუსებს კომპანია უვლიდეს, როგორც ეს ავტობუსების შემთხვევაშია. 800 ლარზეც თანახმა ვარ. დღეში 14-16 საათი ვმუშაობ და თვეში ამაზე მეტი მაინც არ მრჩება. ფიქსირებული ხელფასი რომ იყოს, აღარც ერთმანეთს გავეკიდებით, მგზავრის წართმევას არ დავიწყებთ და ამდენი ავარიაც აღარ მოხდება, – გვითხრა ერთ-ერთმა მათგანმა.

„თბილისის მიკროავტობუსში“ კი ირწმუნებიან, რომ აღნიშნული ინფორმაციაც მტკნარი სიცრუეა. ნათია მიქიაშვილის თქმით, იმ შემთხვევაში, თუ მძღოლს ავტომობილი უფუჭდება და სრული დღის განმავლობაში ვერ ახერხებს მუშაობას, ის გადასახადისაგან თავისუფლდება.

რაც შეეხება ფიქსირებულ ანაზღაურებას, იგი ამტკიცებს, რომ მძღოლების დიდი უმრავლესობა ამის წინააღმდეგია, ვინაიდან არსებული წესის მიხედვით, მათი თვიური შემოსავალი 800 ლარზე ბევრად მაღალია. **ბპნ**

ბიტკოინის ფასი 4.000 დოლარს ჩამოსცდა

ბიტკოინის ფასის ვარდნა მეტწილად, ჩინეთთან დაკავშირებული ინფორმაციის გავრცელების მოჰყვა, რომლის თანახმად, ჩინეთში კრიპტოვალუტებით ვაჭრობის აკრძალვას აპირებენ.

ინფორმაციის გავრცელების შედეგად, მსოფლიოში ყველაზე პოპულარული ციფრული ვალუტის ფასი, ამერიკულ პლატფორმა „ბიტფაინექსზე“ 3.904.1 დოლარამდე შემცირდა. ეს ყველაზე დაბალი მაჩვენებელია 5 სექტემბრის შემდეგ, როცა ბიტკოინის ფასმა რეკორდულ მაჩვენებელს (თითქმის 5.000 დოლარს) მიაღწია. ამჟამად ბიტკოინის ჯამური კაპიტალიზაცა 65 მილიარდ დოლარს შეადგენს.

ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ჩინეთის ხელისუფლება, ქვეყნის ტერიტორიაზე ციფრული ვალუტებით ვაჭრობის აკრძალვას აპირებს, სააგენტო კაისინმა გაავრცელა და ოფიციალურად არავის დაუდასტურებია. თუმცა დაუმოწმებელი ხმებიც საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ ბიტკოინის ფასს 1.000 დოლარით დაეკლო. პარალელურად, კლება ფიქსირდება პრაქტიკულად ყველა ციფრულ ვალუტაზე, რომელთა რიცხვიც, სხვადასხვა ინფორმაციით, 900-ზე მეტია.

კაისინის ინფორმაციისადმი ნდობას აძლიერებს ის ფაქტი, რომ უფრო ადრე, ჩინეთმა ეგრეთ წოდებული ICO -ს წარმოება აკრძალა, რაც დამწყები კომპანიებისთვის, ახალი ციფრული ვალუტების გამოშვებით, ფონდების მოზიდვის საშუალებაა. პარალელურად, ჩინეთი ინტენსიურად სწავლობს ბიტკოინის და სხვა ციფრული ვალუტების შესაძლებლობებს და საკუთარი ციფრული ვალუტის სატესტო პროგრამასაც ამუშავებს.

ციფრული ვალუტების ბაზარს ახლახან კიდევ ერთი დარტყმა მიაყენა „უ მორგან ჩეიზის“ აღმასრულებელმა დირექტორმა ჯეიმი დაიმონმა, რომელმაც განაცხადა, რომ ბიტკოინი თაღლითობაა და ეს საპნის ბუშტი, ადრე თუ გვიან, გასკდება.

– ეს ვალუტა ვერ იმუშავებს. ვერ აწარმოებს საქმეს, რომელიც ადამიანის მიერ ცარიელ ადგილას გამოგონილ ვალუტას ეფუძნება, – განაცხადა დაიმონმა და დასძინა, რომ თუ „უ მორგანის“ რომელიმე ტრეიდერი გაბედავს ციფრული ვალუტით ვაჭრობას, მას უმალ სამსახურიდან დაითხოვენ, რასაც ორი მიზეზი ექნება: „ეს ჩვენს წესებს ეწინააღმდეგება და მეორე, ასეთი ტრეიდერები სულელები არიან. ორივე შემთხვევაში, ჩვენთვის ისინი საფრთხეს წარმოადგენენ“. **ბპნ**

მთავრობამ ბანკებისგან 40 მილიონი ისესხა

2017 წლის 13 სექტემბერს, ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ობლიგაციების აუქციონზე 20.000.000 ლარის ნომინალური ღირებულების 2-წლიანი ვადიანობის ფასიანი ქაღალდები გაიყიდა.

აუქციონში მონაწილეობა მიიღო ექვსმა კომერციულმა ბანკმა. მოთხოვნამ შეადგინა 61.000.000 ლარი. მინიმალური საპროცენტო განაკვეთი 7.350 პროცენტით, მაქსიმალური 7.420 პროცენტით, ხოლო საშუალო შეწონილი – 7.395 პროცენტით განისაზღვრა.

კუპონური საპროცენტო განაკვეთი 7.625 პროცენტს შეადგენდა. კუპონის გადახდა მოხდება წელიწადში ორჯერ, ყოველ ექვს თვეში.

ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ვალდებულებების აუქციონზე, დღესვე, ასევე, 20.000.000 ლარის ნომინალური ღირებულების 182-დღიანი ვადიანობის ფასიანი ქაღალდები გაიყიდა.

აუქციონში მონაწილეობა ექვსმა კომერციულმა ბანკმა მიიღო. მოთხოვნამ შეადგინა 46.500.000 ლარი. მინიმალური საპროცენტო განაკვეთი 7.090 პროცენტით, მაქსიმალური 7.160 პროცენტით, ხოლო საშუალო შეწონილი 7.119 პროცენტით განისაზღვრა.

კომერსანტი

ნინო ჯავახაძე: „2017 წლის 8 თვეში ექსპორტი 28,5%-ით არის გაზრდილი“

2017 წლის აგვისტოში ექსპორტი გაიზარდა 25,7%-ით, ხოლო იმპორტი – 1,2%-ით, შესაბამისად, კუმულატიურად, 2017 წლის 8 თვის მონაცემებით, ექსპორტში გვაქვს 28,5%-იანი ზრდა, ხოლო იმპორტი გაზრდილია 7,5%-ით, – ამის შესახებ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილემ, ნინო ჯავახაძემ „საქსტატის“ მიერ გამოქვეყნებული მონაცემების შესახებ კომენტარისას განაცხადა.

– ექსპორტის მიმართულებით ძირითადად ზრდა გვაქვს ფეროშენადნობების, სასუქების, მინერალური წყლების, ღვინის, სამკურნალო საშუალებების ექსპორტში, შესაბამისად, საქართველოს საგარეო ვაჭრობაში პოზიტიური ტენდენციები შეინიშნება უკვე 2016 წლის სექტემბრიდან. თვიდან თვემდე ექსპორტი მზარდია და საგარეო ვაჭრობა ამ არხით დადებით გავლენას ახდენს ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაზე, – აღნიშნა ნინო ჯავახაძემ.

2017 წლის 8 თვეში სავაჭრო ბალანსი გაუმჯობესდა 28.1 მლნ აშშ დოლარით. მიმდინარე წლის აგვისტოში, უმსხვილესი საექსპორტო ჯგუფებიდან მნიშვნელოვნად გაიზარდა ფეროშენადნობის (134%), აზოტოვანი სასუქების (84%), სამკურნალო საშუალებების (79%), ყურძნის ნატურალური ღვინოების (64%) და მინერალური და მტკნარი წყლების (23%) ექსპორტი.

რაც შეეხება იმპორტს, გაზრდილია ნავთობისა და ნავთობპროდუქტების (32%), სატელეფონო აპარატების (27%), სამკურნალო საშუალებების (17%) იმპორტი.

თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებებთან დაკავშირებული წარმატებით დასრულებული და მიმდინარე მოლაპარაკებები, ხელს შეუწყობს ქართული პროდუქციის გასაღების ბაზრების გაფართოებას, შექმნის ექსპორტის პოტენციალის დამატებითი ზრდის შესაძლებლობას და ხელს შეუწყობს ეკონომიკურ ზრდას. **ბპნ**

კომერციულმა ბანკებმა ყველაზე მეტი სესხი ვაჭრობის სექტორზე გასცეს

2017 წლის ივლისის ბოლოსთვის კომერციული ბანკების მიერ გაცემული სესხების რაოდენობამ 19.5 მილიარდ ლარს მიაღწია რაც გასული წლის ივლისთან შედარებით 17.3 % ით მეტია. ეროვნული ბანკის მონაცემებით, 2016 წლის ივლისის ბოლოს საბანკო სექტორში 16.6 მილიარდი ლარის სესხი იყო გაცემული.

ეროვნული ბანკის „საფინანსო სექტორის მიმოხილვის“ დოკუმენტის მიხედვით ირკვევა, რომ საანგარიშო პერიოდში მთლიანი სესხების 25% ვაჭრობის სექტორზეა გაცემული, 18% პროცენტით სესხების სტრუქტურაში მეორე პოზიციას ინაწილებს იპოთეკური, საცალო და სამომხმარებლო დაკრედიტება.

გაცემული სესხების 6% მრეწველობაზეა, 5% მშენებლობაზე, 4% აქვს ენერგეტიკას, 2-2% კი ტრანსპორტსა და სოფლის მეურნეობას.

მთლიანი სესხებიდან 8.3 მილიარდი ლარშია გაცემული, 4.7 მილიარდი უცხოურ ვალუტაში.

კომერსანტი

„არასდროს მქონია განცდა, რომ „ნაღდი“ თბილისელი ვიყავი“

დასაწყისი მე-5 გვერდზე

ლიც ეზოს ბოლოში ჩანჩქერით სრულდება, ნამიანმა ბალახმა, რომელზეც ფეხშიშველმა გაიარ-გამოიარა, გულთბილმა და ლაღმა საუბრებმა დაგამეგობრათ.

ჩემთვის პატივია, ასე წარვუდგინო ჩემი ქვეყანა და ქართული ღვინო სტუმრებს, რომლებსაც თვალს სჭრით პლასტმასის ხინკლების, ბრჭყვიალა ხანჯლებისა და ულვაშებიანი კაცის პროფილიანი ბოთლების კიტჩი.

❖ ❖ ❖

– რთულ ამოცანას შევეჭიდე – საოჯახო მეღვინეობის ხელმძღვანელობა. ვერ ვიტყვი, რომ თავიდანვე გაცნობიერებული არ მქონდა მოსალოდნელი გამოწვევები. მეღვინეობაცა და ოჯახიც მყარად დაეშენება პატრიარქალურ ღირებულებრივ სტრუქტურას და ქალებმა რაც უნდა ვსხლათ და ვაცალოთ ნამხრევი ამ სტერეოტიპს, სათითაოდ თავს ვევლოთ ვაზს, როგორც შვილს, მაინც გამოჩნდებიან ზომაზე მეტად გაბრაზებული სახის მამაკაცები, რომლებიც იტყვიან, რომ ჩვენი სახელი მხოლოდ ეგზოტიკური ბრენდირებისთვისაა საჭირო, ნამდვილ საქმეს კი კაცები აკეთებენ.

ალბათ ამიტომ, ყოველ ჯერზე, იქნება ეს ახალი ვენახის გაშენება თუ ყურძნისგან კლერტის გაცლა, დამხმარეებს ვუხსნი, რომ საქმიანობაში მეც თავისუფლად ჩავებმები, არც მეთაკილება და არც მეზარება. მათ კი უკვირთ თბილისში გაზრდილი, დედისერთა, წიგნის ჭია გოგოს ფიზიკური შრომა და ყოველ ჯერზე სწამთ, რომ ოდესმე დავნებდები.

ერთ ოჯახში ორი – ქმრისა და ცოლის – მარანი ბევრს აკვირვებს. მართლაც ჩვენ სრულიად თვითმყოფადი ისტორიები, გამოცდილებები და საწარმოო პოლიტიკა გვაქვს. ზაზამ ეს საქმე ჯერ კიდევ 2012 წელს წამოიწყო თავის მეგობრებთან ერთად, მე – სულ რაღაც ორი წელია. უდავოდ დამაბნეველი მოდელია – ქმრის წინაპრების კარმიდამოში ცოლი აშენებს მარანს და უძღვება მეღვინეობას. ჩვენი უცხოელი სტუმრებისთვის სერიოზული მიზეზია, ჩათვალონ, რომ საქართველოში ყველა მეორე ქმარი ასეთ რისკიან გადაწყვეტილებაზე მიდის.

ჩემი მარანი ვაზის იშვიათი ჯიშების მოსავლებისგან შეზღუდული რაოდენობით აწარმოებს ექსპერიმენტულ, ბუნებრივ ღვინოებს. პირველი ორი მოსავლის ღვინო მხოლოდ 200-250 ბოთლის ოდენობით ჩამოვასხი და მოულოდნელად ორი საექსპორტო ბაზრიდან – აშშ-დან და პოლონეთიდან მივიღე შეკვეთა. მოხდა ისე, რომ მოთხოვნის მხოლოდ მესამედის დაკმაყოფილება შევძელი წარმოების მცირე მასშტაბებიდან გამომდინარე. ასე რომ, წელს სან ფრანცისკოს ღვინის რამდენიმე ბუტიკურ ბარში „ოდას“ ვარდისფერი ორბელური ოჯალეში გამოჩნდება. 2017 წლის რთველზე კი წარმოებას ოდნავ გავაფართოებ როგორც მოცულობითი, ისე – ჯიშური დივერსიფიკაციის თვალსაზრისით.

ჩემი მთავარი ინტერესები მაინც მეგრული და აფხაზური ვაზის დავიწყებული ჯიშების გარშემო ტრიალებს. შარშანდელ ვენახში უკვე გავაშენე ერთი იშვიათი მეგრული ჯიში – ჭვიტილური. გაისად ეზოში მცირე საკოლექციო ვენახი მექნება ახალი ძველი ჯიშებით – კოლოშით, დუდღუშით, ლაკაიაჟითა და აშუგაჟით. ამ ჯიშების კალმები სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ჯიღაურას მეურნეობიდან წელს საჩუქრად მივიღე.

ვფიქრობ, ყველამ უნდა მისცეს თავის იდეებს გასაქანი. იმ იდეებს, რომლებიც ბედნიერებას მოუტანს. ასე მესმის ახალი აღთქმის ტალანტების იგავი – სასურველი სამუშაოს, ან სამსახურებრივი პოზიციის მოლოდინში იმედგაცრუებულებს ქმედების უნარი არ უნდა წაგვერთვას და შევძლოთ, თავად შევქმნათ შესაძლებლობა, გარემო და ჩვენი საქმე.“ **ბპნ**

ავარია ბათუმში — დაშავებულია 8 პირი

ბათუმში, ალმაშენებლის ქუჩაზე, ერთმანეთს სატვირთო და სამარშრუტო მიკროავტობუსი შეეჯახა. შემთხვევის შედეგად 8 ადამიანი დაშავდა, რომლებიც საავადმყოფოში არიან გადაყვანილი.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, მომხდარზე გამოძიება სსკ-ის 276-ე მუხლით დაიწყო, რაც სატრანსპორტო მოძრაობისას წესების დარღვევას გულისხმობს, რამაც ადამიანის ჯანმრთელობის დაზიანება გამოიწვია.

ქუთაისი-წყალტუბოს გზაზე ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად 3 ადამიანი დაშავდა

ქუთაისი-წყალტუბოს გზაზე, რესტორან „გრანდ პალასის“ მიმდებარე ტერიტორიაზე, ერთმანეთს მსუბუქი ავტომობილი და მიკროავტობუსი შეეჯახა. შემთხვევის შედეგად 3 ადამიანი დაშავდა.

როგორც „ნიუპოსტს“ შინაგან საქმეთა სამინისტროში განუცხადეს, ავტოსაგზაო შემთხვევა ორი ავტომობილის შედეგად მოხდა, მომხდარზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლის პირველი ნაწილით დაიწყო, რაც ტრანსპორტით მოძრაობის და ექსპლუატაციის წესის დარღვევას გულისხმობს.

ირაკლი ფირცხალავას შვილი: „მოწმე მაბრალებს, რომ ლიკვიდაციით ვემუქრებოდი, რაც არის სრული სიცრუე“

კორტების საქმის მოწმეზე სავარაუდო ზეწოლის და მოსყიდვის ფაქტთან დაკავშირებით გამოძიების ფარგლებში ირაკლი ფირცხალავას შვილი ირინა ფირცხალავა გამომძიებლებს მოსამართლის თანდასწრებით აძლევს ჩვენებას.

ირინა ფირცხალავა ამბობს, რომ 30 აგვისტოს ე.წ. კორტების სპეცოპერაციის მთავარ მოწმესთან შეხვედრას ესწრებოდა.

— მოწმე მაბრალებს, რომ ლიკვიდაციით ვემუქრებოდი, რაც არის სრული სიცრუე, ამას ადასტურებს ჩანაწერი, — განაცხადა ირაკლი ფირცხალავას შვილმა, ირინა ფირცხალავამ.

ავარია ხულოში – დაშავებულია ორი პირი

ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ პაქსაძეებში მსუბუქი ავტომობილი გზის სავალი ნაწილიდან გადავარდა, რის შედეგადაც ორი ადამიანი მსუბუქად დაშავდა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, მომხდარზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლის პირველი ნაწილით მიმდინარეობს, რაც ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევას გულისხმობს.

აშშ-ის საელჩოს მიმდებარე ტერიტორიაზე უკანონო კონსტრუქციები სახელმწიფო ტერიტორიაზე გადავა და 10.000 ლარით დაჯარიმდება

თბილისის მერიის ზედამხედველობის სამსახურის მიერ ჩატარებული მოკვლევის შედეგად, საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს მიმდებარე ტერიტორიაზე ორი უკანონო კონსტრუქციის არსებობის ფაქტი დადასტურდა.

„ვექტორმა“ ზედამხედველობის სამსახურს მიმართა კითხვით, იყო თუ არა საელჩოს მიმდებარედ ავტობაზრობების მოწყობის ნებართვა გაცემული. ზედამხედველობის სამსახურმა მოკვლევა სწორედ სააგენტოს მიმართვის შემდეგ დაიწყო, შედეგად კი არაკანონიერი კონსტრუქციების მოწყობის ფაქტი 10 000-ლარიან ჯარიმას დაექვემდებარა.

— ტერიტორიაზე დაფიქსირებულია ორ სხვადასხვა მისამართზე უნებართვოდ განთავსებული მსუბუქი და კაპიტალური კონსტრუქციის არსებობის ფაქტი. კონსტრუქციები გადადის სახელმწიფო ტერიტორიაზე. აღნიშნული ფაქტი ექვემდებარება 10.000-ლარიან ჯარიმას. გადაწყვეტილება ჯარიმის შესახებ მიღებული იქნება უახლოეს დღეებში, — განუცხადეს „ვექტორს“ ზედამხედველობის სამსახურში.

კითხვაზე, თუ რა ვადებში უნდა მოხდეს ტერიტორიის გათავისუფლება, პრესსამსახურს პასუხი არ აქვს.

შეგახსენებთ, რომ საელჩოს მიმდებარე ტერიტორიაზე მეორადი მანქანების ბაზრობა ერთხელ ამერიკის საელჩოს მოთხოვნით დაიხურა, თუმცა მოგვიანებით კვლავ გაიხსნა. აღნიშნულს საელჩოს წერილი ადასტურებდა, სადაც ნათქვამი იყო, რომ მიუხედავად აშშ-ის საელჩოს თხოვნისა თბილისის მერიისადმი, რომ შეეზღუდათ საელჩოს ტერიტორიასთან ახლოს მოქმედი ბაზრობა 2007 წელს, ბოლო 10 წლის მანძილზე ქალაქი საელჩოსთან ახლოს ბიზნესების და მშენებლობების რეგულაციებზე დამოუკიდებელ გადაწყვეტილებებს იღებდა და საელჩოს სთხოვდა, წინააღმდეგობა არ გაეწია.

წერილში ასევე ნათქვამია, რომ დღეს სიტუაცია შეიცვალა და საელჩო არ ითხოვს ბაზრობის გაუქმებას, თუმცა ქალაქის არქიტექტურული სამსახურის მასალებიდან ირკვევა, რომ მეორადი ბაზრობების ტერიტორიაზე არა მანქანების ბაზრობა, არამედ სავაჭრო პავილიონები უნდა ყოფილიყო.

საჯარო რეესტრის ამონაწერიდან ჩანს,

რომ ბელიაშვილის ქუჩაზე მდებარე ავტობაზრობის ტერიტორია მესაკუთრე შპს „დი ეს დი თეგეტას“ თბილისის არქიტექტურული სამსახურისგან მიღებული აქვს ნებართვა მე-4 კლასის პავილიონის მშენებლობაზე, მშენებლობის ვადა კი 2018 წლის 15 იანვრის ჩათვლით განისაზღვრება.

ანალოგიურად, გლდანი-დიღმის შემაერთებელ გზაზე გაცემულია ნებართვა მე-3 კლასის საგამოფენო დარბაზის მშენებლობაზე, რაზეც განმცხადებელს ასევე მიღებული აქვს ამერიკის საელჩოს თანხმობა, თუმცა საელჩოს წერილში ნათქვამია, რომ მისი თანხმობის გარეშე არ მოხდება პროექტის ფუნქციის შეცვლა ან გასხვისება.

შსს–მ ცეცხლსასროლი იარაღი და საბრძოლო მასალა ამოიღო

შსს-მ ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვა-ტარების ბრალდებით, თბილისში ერთი პირი დააკავა.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ შინაგან საქმეთა სამინისტროდან აცნობეს, შსს-ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვა-ტარების ბრალდებით, 1990 წელს დაბადებული გ.კ. თბილისში დააკავეს.

პოლიციამ, დაკავებულის პირადი ჩხრეკისას „მაკაროვის“ კონსტრუქციის არარეგისტრირებული პისტოლეტი, ორი მჭიდი და 15 საბრძოლო ვაზნა ამოიღო.

დაკავებული ჩადენილ დანაშაულს აღიარებს.

გამოძიება ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვისა და ტარების ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 236-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებით).

უკრაინაში კანონიერი ქურდი გელა თბილისკი დააკავეს



კიევის პოლიციამ „კანონიერი ქურდი“ გელა ჯოჯუა „გელა ტბილისკი“ დააკავა. ამის შესახებ ინფორმაციას უკრაინის დედაქალაქის პოლიციის პრესსამსახური ავრცელებს. პოლიციის ინფორმაციით, ის რუსეთის მოქალაქეა.

კიევის ეროვნული პოლიციის მთავარი სამმართველოს უფროსის ანდრეი კრიშჩენკოს თქმით, ჯოჯუას არაერთი სერიოზული დანაშაული აქვს ჩადენილი. „კანონიერი ქურდის“ წოდება მან 1996 წელს მოსკოვში მიიღო.

ბოლო წლებში „გელა ტბილისკიმ“ რამდენიმე კრიმინალური ჯგუფი შექმნა, რომლებიც დაკავებულები იყვნენ ქურდობითა და ავტომობილების გატაცებით.

„გელა ტბილისკი“ 2017 წლის აპრილში დააკავეს და რუსეთში დააბრუნეს, თუმცა ცოტა ხნის შემდეგ ჯოჯუა ისევ კიევში დაბრუნდა.

ამჟამად „გელა ტბილისკი“ ჩერნიგოვსკის დროებითი დაკავების პუნქტში იმყოფება. სამართალდამცავი ორგანო მისი უკრაინიდან გაძევებას გეგმავს.

სადახლოზე არადეკლარირებული ოქროს ნაკეთობები აღმოაჩინეს

შემოსავლების სამსახური

საბაჟო გამშვებ პუნქტში „სადახლო-საავტომობილო“ არადეკლარირებული ოქროს ნაკეთობები აღმოაჩინეს. ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურიდან აცნობეს.

უწყების პრესსამსახურის ინფორმაციით, ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მებაჟე ოფიცრებმა, არადეკლარირებული ოქროს ნაკეთობები (საერთო წონა 130.84 გრ.) ეჭვის საფუძველზე, რუსეთის მოქალაქე კ.ო-ს მართვის ქვეშ არსებული ავტომობილის დათვალიერებისას აღმოაჩინეს. საქონლის საბაჟო ღირებულებამ 10,375.33 ლარი შეადგინა.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 289-ე მუხლის მე-10 ნაწილის შესაბამისად, მოქალაქეს, სანქციის სახით, ფულადი ჯარიმა, 10,375.33 ლარის ოდენობით შეეფარდა.

ფოთში საცხოვრებელი კორპუსის მესამე სართულიდან 3 წლის ბავშვი გადმოვარდა

შინაგან საქმეთა სამინისტრომ ფოთში საცხოვრებელი კორპუსის მესამე სართულიდან 3 წლის ბავშვის გადმოვარდნაზე გამოძიება დაიწყო.

უწყების ინფორმაციით, საქმე სისხლის

სამართლის კოდექსის 124-ე მუხლით აღიძრა, რაც ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე ან მძიმე დაზიანებას გაუფრთხილებლობით გულისხმობს.

ფოთში მესამე სართულიდან გადმოვარდნილი ბავშვი ფოთის ცენტრალური კლინიკური საავადმყოფოს რეანიმაციულ განყოფილებაში მართვით სუნთქვაზე იმყოფება. პაციენტის მდგომარეობა მძიმეა.

მარნეულთან მომხდარ ავარიას 25 წლის ახალგაზრდა ემსხვერპლა

მარნეული-სადახლოს გზაზე მსუბუქი ავტომობილი ბენზინგასამართ სადგურს დაეჯახა, რის შედეგადაც 25 წლის მამაკაცი გარდაიცვალა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევას გულისხმობს, რამაც გამოიწვია ადამიანის სიცოცხლის მოსპობა.

შავი ზღვის სანაპიროზე შტორმია მოსალოდნელი

შავი ზღვის სანაპიროზე შტორმია მოსალოდნელი. შავი ზღვის სანაპიროზე დღის ბოლოს 4 ბალამდე შტორმი დაფიქსირდება, — ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურში განუცხადეს.

უწყების ცნობით, სანაპიროზე განთავსებულ სამაშველო საგუშაგოებზე წითელი ალმებია აღმართული, რაც იმას ნიშნავს, რომ ზღვაში შესვლა აკრძალულია.

ასევე მაშველები სანაპიროზე მყოფ მოქალაქეებსა და ტურისტებს რამდენიმე ენაზე მოუწოდებენ, რომ საშტორმო მდგომარეობის დასრულებამდე ზღვაში არ შევიდნენ.

რატომ აშფოთებს დასავლეთს რუსეთ-ბელორუსის საერთო სამხედრო სწავლებები?

14 სექტემბერს რუსეთ-ბელორუსის საერთო სამხედრო სწავლებები იწყება. ნატოს გენერალურმა მდივანმა იენს სტოლტენბერგმა ამის გამო შეშფოთება გამოთქვა.

– ჩვენ ვთხოვთ რუსეთის ხელმძღვანელობას, რომ ეს სწავლებები გააუქმოს, – თქვა სტოლტენბერგმა.

რუსულ-ბელორუსული სწავლებებით შეშფოთებული არიან როგორც უკრაინაში, ასევე ბალტიისპირეთსა და პოლონეთშიც. უკრაინელები აცხადებენ, რომ რუსეთ – ბელორუსის ერთობლივი მანევრები სხვა არაფერია, თუ არა სამზადისი უკრაინაში შეჭრისთვის.

– ყირიმის ანექსიის დროსაც ასე ხდებოდა, – ამბობს უკრაინის გენერალური შტაბის უფროსი გენერალი მუჟენკო.

უკრაინის უშიშროებისა და სამხედრო დაზვერვის ექსშეფი, გენერალი სმეშკო თავის მხრივ მიიჩნევს, რომ არსებობს რუსული არმიის შემოჭრის საფრთხე. სამხედრო მანევრები საუკეთესო საშუალებაა იმისთვის, რომ ჯარისკაცთა დიდი რაოდენობა ერთი ადგილიდან მეორეზე გადაიყვანო, შემდეგ კი იქ მიუყარო თავი, სადაც ეს მიზანშეწონილია. სმეშკო ხაზს უსვამს იმასაც, რომ ბელორუსის პრეზიდენტ ლუკაშენკოს სიტყვები, ჩვენი ტერიტორიიდან საფრთხე არც ერთ ქვეყანას არ დაემუქრებაო, ბევრს არაფერს ნიშნავს .

– ლუკაშენკომ აქცენტი არა დამოუკიდებელი სახელმწიფოს მშენებლობაზე, არა პატრიოტიზმის გაძლიერებაზე, არამედ სოციალური საკითხის მოგვარებაზე გააკეთა. სოციალური პრობლემა მან ნამდვილად მოაგვარა, მაგრამ ეს ბელორუსის სუვერენიტეტის შეზღუდვის ხარჯზე მოხდა. ბელორუსი არა მხოლოდ ევრაზიული კავშირის, არამედ რუსეთ-ბელორუსის ერთიანი სამოკავშირეო სახელმწიფოს წევრია. რუსეთის გავლენა იქ ძალიან დიდია. შესაბამისად იმას, თუ რა საფრთხე დაემუქრება ამა თუ იმ ქვეყანას, გადაწყვეტს პუტინი და არა ლუკაშენკო, – თქვა სმეშკომ.

აღსანიშნავია კიდევ ერთი ფაქტორი. სადღეისოდ ბელორუსის დამოუკიდებლობას მოსახლეობის მხოლოდ 15% უჭერს მხარს. 45% მიიჩნევს, რომ სუვერენიტეტი ბევრს არაფერს ნიშნავს. დანარჩენს ეს საკითხი არ ადარდებს. ამას გარდა ლუკაშენკომ, რომელიც ხელისუფლებაში 1994 წლიდან იმყოფება, ყველას თავი მოაბეზრა. ლევადა-ცენტრის გამოკითხვამაც ფრიად საინტერესო შედეგები გვიჩვენა. ბელორუსების 36% თვლის, რომ უკეთესია მათი პრეზიდენტი არა ლუკაშენკო, არამედ პუტინი იყოს. მეორე ადგილზე გავიდა საქართველოს ექსპრეზიდენტი მიხეილ საკაშვილი, რომელსაც 30%-მა დაუჭირა მხარი. ლუკაშენკო მხოლოდ მესამე ადგილს დასჯერდა.

– ეს იმას ნიშნავს, რომ ბელორუსები, უკრაინელებისგან განსხვავებით, დამოუკიდებლობისთვის არ იბრძოლებენ. პუტინსაც ამ ქვეყანაში შეუძლია განახორციელოს ყველაფერი, რასაც საჭიროდ ჩათვლის, – ამბობს პუტინის ყოფილი თანაშემწე ილარიონოვი.

ევროპის შეშფოთებას იწვევს ის, რომ რუსეთმა შესაძლოა ბელორუსის ტერიტორია უკრაინაზე შეტევისათვის გამოიყენოს. ბუნებრივია, ამას უკრაინელთა მხრივ კონტრდარტყმა მოყვება. ომის ცეცხლიც უკვე არა მხოლოდ დონბასზე, არამედ უკრაინის დანარჩენ რეგიონებსა და ასევე ბელორუსზეც გავრცელდება.

– ევროპას ეს არ სურს. ევროპას ამის ეშინია, – იტყობინება 112 არხი.

ევროპელთა გარკვეული ნაწილის განწყობილებაზე ისაუბრა გერმანიის თავისუფალი დემოკრატიული პარტიის ლიდერმა კრისტიან ლინდერმა. მისი აზრით, ნაციონალისტური უკრაინა თურმე ევროპისთვის უფრო დიდი საფრთხეა, ვიდრე ლუკაშენკოს ბელორუსი.

– დიახ, ბელორუსში რუსიფიკაციაა. დიახ, ეს ქვეყანა კვლავაც რუსეთზეა გამობმული. იქ არ ტარდება რეფორმები. მერე რა? თუკი ბელორუსი თანამედროვე სახელმწიფოდ ვერ ჩამოყალიბდება, ეს მისი პრობლემაა. თუკი ბელორუსი რუსეთის ნაწილი გახდება, ესეც მისი პრობლემაა! უკრაინა კი რუსეთთან ომის მდგომარეობაშია. სოციალური პრობლემების მიუხედავად, უკრაინელები კვლავაც მზად არიან, რუსეთთან ბრძოლა განაგრძონ. ეს კი, ეშმაკმა დალახვროს, ევროპისთვის საშიშია! –აცხადებს ლინდერი.

14 სექტემბერი ახლოვდება.

ტრამპმა იცის, რომ რუსები ცუდი ხალხია!

ტრამპის ყოფილმა მრჩეველმა ბენონმა განაცხადა, რომ აშშ-მ ცივი ომის დასამთავრებლად ძალისხმევა არ უნდა დაიშუროს, მაგრამ მისი აზრით, მთავარი აშშ-ის შიგნით არსებული პრობლემების გადაწყვეტაა და არა საზღვარგარეთის ქვეყნების პრობლემების მოგვარება.

– ტრამპმა იცის, რომ რუსები ცუდი ხალხია, მაგრამ ის სვამს კითხვას: რატომ უნდა ჩავერიოთ ახალ ჩხუბში? მთელ მსოფლიოში ისედაც საკმაოდ გვაქვს პრობლემები, – აცხადებს ბენონი.

ტილერსონი და ლავროვი ერთმანეთს ნიუ-იორკში შეხვდებიან

რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ რიაბკოვმა განაცხადა, რომ ჰელსინკში თავის ამერიკელ კოლეგა შენონთან შეხვედრით კმაყოფილია. რიაბკოვი აცხადებს, რომ რუსეთ-აშშ-ის პოზიციების დასაახლოებლად რიგი ნაბიჯი გადაიდგა.

– უკვე მომწიფდა ვითარება რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრ ლავროვისა და აშშ-ის სახელმწიფო მდივნის ტილერსონის შეხვედრისათვის. სავარაუდოდ, ეს ნიუ იორკში გაეროს გენერალური ასამბლეის სესიაზე მოხდება, – თქვა რიაბკოვმა.

კერი: „თურქეთი ევროკავშირის წევრი ვერ გახდება!“

ევროკომისიის თავმჯდომარემ ჟან-კლოდ იუნკერმა განაცხადა, რომ თურქეთი დასავლურ ღირებულებებს არ იზიარებს. ევროკავშირიც წყვეტს მოლაპარაკებებს თურქეთთან ამ ქვეყნის ევროპულ ოჯახში ინტეგრაციის თაობაზე.

– უახლოეს მომავალში თურქეთი ევროკავშირის წევრი ვერ გახდება! – თქვა იუნკერმა.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

ტრამპი მალაიზიის პრემიერს შეხვდა

დონალდ ტრამპი მალაიზიის პრემიერს ნაჯბ რაზაკს შეხვდა. ექსპერტები ამ შეხვედრის გამო გაოცებას გამოთქვამდნენ. საქმე ისაა, რომ რაზაკი მალაიზიის საინვესტიციო ფონდიდან ფულის გაფლანგვის საქმეში მთავარი ეჭვმიტანილია. აშშ-ში ჯერჯერობით მისი აქტივების გაყიდვისაგან თავი შეიკავეს, თუმცა რაზაკის საქმიანობას აშშ-ის იუსტიციის სამინისტრო სწავლობს.

– საინტერესოა, ტრამპმა და რაზაკმა რაზე ისაუბრეს?– კითხულობს „ამერიკის ხმა“.

თავად ტრამპმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ მალაიზიის პრემიერთან ტერორიზმთან ბრძოლისა და ჩრდილოეთ კორეის პრობლემები განიხილეს.

სახელმწიფო დეპარტამენტი: „ჩვენ რუსეთთან ურთიერთობების ესკალაცია არ გვინდა!“

აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმა ნოიერტმა განაცხადა, რომ რუსეთთან ურთიერთობა უკიდურესად დაიძაბა.

– ჩვენ შემდგომი ესკალაცია არ გვსურს, – თქვა მან.

ნოიერტმა აღნიშნა, რომ ამერიკული დიპლომატია ყველაფერს აკეთებს საიმისოდ, რომ დაძაბულობა განიმუხტოს.

ჩრდილოეთ კორეა კვლავ იმუქრება

გაეროს უშიშროების საბჭომ ჩრდილოეთ კორეას ახალი სანქციები დაუწესა. მართალია, რუსეთ-ჩინეთის მოთხოვნით რიგი მუხლები ამოიღეს, მაგრამ უდავოა ერთი: ჩრდილოეთ კორეა აბსოლუტურად მარტო აღმოჩნდა.

– ფხენიანს სოლიდარობა თვით აზიის ქვეყნებმაც კი არ გამოუცხადეს, – განაცხადა აშშ-ის წარმომადგენელმა გაეროში ნიკ ჰეილიმ.

ჩრდილოეთ კორეის დიქტატორმა კიმ ჩენ ინმა გაეროს დადგენილებას აშშ-ის მიერ ჩრდილოეთ კორეის წინააღმდეგ მოწყობილი შეთქმულება უწოდა. კიმ ჩენ ინის აზრით, აშშ-ის ჩრდილოეთ კორეის განადგურება სურს.

– მსურს ვაშინგტონის ვაჟბატონებს ვაცნობო, რომ მათ წინააღმდეგ ახალი ტაქტიკა შევიმუშავეთ. დაკონკრეტებისაგან ჯერჯერობით თავს შევიკავებ. მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ ამერიკელებს შავ დღეს დავაყრით, – ამბობს კიმ ჩენ ინი.

სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

ნანა ნადარეიშვილი: მაწუხებდა დისბაქტერიოზი, პარალელურად დამეწყო თმის ცვენა, მივმართე ქალბატონ ლამარას, ჩავიტარე მკურნალობა მისი მითითებით. ორ კვირაში მქონდა იდეალური შედეგი.

ხვიჩა გოგბია: კანზე მქონდა გამონაყარი, ქალბატონი ლამარას დამზადებული სითხეებით ორგანიზმი გავიწმინდე, ვიყენებდი მისივე დამზადებულ მალამოებს, შედეგი მაქვს. დიდი მადლობა ქალბატონ ლამარას.

მზია დუნდუა: მქონდა ქალური პრობლემები, მივაკითხე ქალბატონ ლამარას და ვარ უკვე გამოჯანმრთელებული. დღესაც ვაგრძელებ მკურნალობას მისი მითითებით.

მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.
ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82

განცხადებები

ვასწავლი

● მოვამზადებ ინგლისურსა და რუსულ ენებში დიპლომატიური განათლებისა და გამოცდილების გათვალისწინებით, შეღავათიან ფასებში. მის.: ვაკის რაიონი, ფალიაშვილის ქ. №118. ტელ.: 593-90-73-13, თამარი.

ჯანმრთელობა, მკურნალობა

● ჩვენი ბავშვების ჯანმრთელობა ჩვენს ხელთაა – კალცი აუცილებელია გონებრივი განვითარებისათვის, ძვლიან-კუნთოვანი ჩონჩხისთვის, იმუნიტეტისათვის. 95%-ით აითვისება ორგანიზმის მიერ. ტელ: 599-61-75-82.

● გინდა იყო მუდამ ჯანმრთელი? მთელი ორგანიზმის დიაგნოსტიკა – პრობლემების გამოვლინება ადრეულ სტადიაზე. აქცია თვის ბოლომდე, კუპონის წარმომადგენელს ფასდაკლება 30%. ტელ: 595-472-471.

● ეკოლოგიურად სუფთა პროდუქცია ოზონატორი არის მთელი ოჯახის ჯანმრთელობის საწყისი: ხილისა და ბოსტნეულის დეზინფექცია; წყლისა და საბავშვო ჭურჭლის, სათამაშოების გაწმენდა. ტელ: 599-61-75-82.

● სტომატოლოგიური მომსახურეობა ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ერთი ყბის ფასი 130 ლარი. კეთდება რუსული, იტალიური, იაპონური კბილები, გარანტიით. ტელ: 555-72-64-98.

● კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატიზმის, პოდაგრების, ართრიტების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, სითხის დაბალანსება სახსარში, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა – შედეგები 100%-იანია. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულებისგან სწრაფი გათავისუფლება, ნერვული სისტემის მოწესრიგება (უძილობა, შიშები, აგრესია, დეპრესია), ღვიძლის დაავადებების მკურნალობა, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიები, დიარეა, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან 100%-იანი შედეგებით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.

● მკურნალობა მამაკაცებისათვის გარანტირებული შედეგებით – იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა, ქავილი, ტკივილი, ქრონიკული ინფექციები (ვირუსები, ვენერიული) – მკურნალობა უკუჩვენების გარეშე. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 595-293-299; 218-14-90 ექიმი ქ-ნი ინგა.

● სიმაღლეში ზრდის სწრაფი მეთოდი თვეში 3-5 სმ, ძვლის მკვებავი მინერალები + ვარჯიშები, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროს, ასევე გახდომა თვეში 5-20 კგ ინდივიდუალური მეთოდი ყველა პაციენტთან – შედეგები 100%-იანი. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 ექიმი ქ-ნი სალომე.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომპანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის ადენომის (ავთვისებიანი გადაგვარების დროსაც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობის, წვის, შარდვისას ტკივილის, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

ზაზა ფაჩულია: „ქართველი ხალხი ჩემ ტიტულს იმსახურებდა“

ზაზა ფაჩულიამ სანაკრებო კარიერა კი დაასრულა, მაგრამ საკლუბო კარიერას აგრძელებს. ისრაელიდან ფაჩულია ამერიკაში გაემგზავრა და გოლდენ სტეიტ ვორიორზს შეუერთდება. ამასთან, ახალშობილ გოგონას მოინახულებს.

ამერიკაში ჩასული ზაზა უმალ იქაური ჟურნალისტების ხელში აღმოჩნდა. აი, რას წერენ იქაურები ფაჩულიაზე:

– ზაზა ფაჩულია სეზონებს შორის შუალედის მაქსიმალურად გამოყენების დიდოსტატია. გასულ წელს ეს პერიოდი ჩრდილო-დასავლეთის უნივერსიტეტისა და ჰარვარდის უნივერსიტეტის ბიზნესსკოლაში სწავლას მოახმარა.

სამაგიეროდ, სწავლისთვის არ ეცალა ამ ზაფხულს. ნბა-ს ტიტულის მოგების შემდეგ, 3 თვე ქვეყნის ეროვნულ ნაკრებს დაუთმო. პლუს, საკონტრაქტო მოლაპარაკებების მაგიდას მიუჯდა და ბოლოს, ახალშეძენილ შვილს მოეფერა.

– გასულ თვეში თქვენ ნბა-ს ტიტული სამშობლოში ჩაიტანეთ.

– ჩემი ქვეყნის ხალხი მრავალი წელია მგულშემატკივრობს. ამას ზოგი ყურადღებას არ აქცევს, მაგრამ მე ასე ვერ მოვიქცევი. საქართველოში ძალიან ბევრი ადამიანი ძილს იკლებდა და ამერიკაში ჩემს თამაშებს უყურებდა. ვიფიქრე, რომ ეს ხალხი ტიტულს იმსახურებდა. მოხარული ვარ, რომ ეს გადაწყვეტილება მივიღე. უორიორსმა მიზნის განხორციელებაში ხელი შემიწყო. ასე შევძელი რამდენიმე დღით საქართველოში ნბა-ს ტიტულის ჩატანა. არც კი ველოდი, იმდენად დიდი გამოხმაურება გამოიწვია ამ ფაქტმა. ეს დღეები არასოდეს დამავიწყდება. თასი სპორტის სასახლეში 8.000 ადამიანმა ნახა და ეს ამბავი ტელევიზიით გადაიცემოდა. ვნერვიულობდი, რადგან ამდენი ადამიანის თვალწინ სიტყვა მომზადებული არც მქონდა, მაგრამ გადავწყვიტე, გულისთქმას მივნდობოდი. ეს იყო ძალიან ემოციური და სპეციალური საღამო.

– თქვენთვის რა მნიშვნელობა ჰქონდა ამ მოგზაურობას?

– მიხარია, რომ ბევრი ადამიანი გავახარე. განსაკუთრებული ზაფხული გამომივიდა. როგორც წესი, ზაფხულს ოჯახსა და მეგობრების წრეში ვატარებთ, ახლა კი მსგავსიც არაფერი ყოფილა – დედა ერთი-ორჯერ ძლივს ვნახე. ერთხელ, როცა ჯილდოს ჩატანის ცერემონიალზე სცენაზე ავიყვანე და მადლობა გადავუხადე. თუკი ერთი კაციც კი გავაბედნიერე საქართველოში, ჩემთვის ეს დიდი შვებაა. მე ამით ვიამაყებ, რადგან საქართველო პატარა ქვეყანაა.

– რა იყო მთავარი მიზეზი, რის გამოც გადაწყვიტეთ, ისევ გოლდენ სტეიტში დარჩენილიყავით?

– მათ ისევ სურდათ ჩემი გუნდში დარჩენა და ეს იყო მთავარი. შარშან, როცა მიმიწვიეს, მათ არ იცოდნენ, როგორი ადამიანი ვარ მოედანსა და მის გარეთ, ახლა კი მთელი სეზონი გოლდენ სტეიტში გავატარე. თავისუფალი აგენტი ჯერ არც ვიყავი, როცა კლუბში მითხრეს, რომ ჩემი დატოვება სურდათ. ყველაფერი შარშანდელივით იყო, უბრალოდ, დრო სჭირდებოდა. ჯერ იყო სტეფის კონტრაქტი, რომელმაც გამაოცა ნულების რაოდენობით. როცა სტეფის კონტრაქტის



ნულები საბოლოოდ დავითვალე, კლუბს ვუთხარი – ოკ, მეც ვაწერ ხელს კონტრაქტს. მოკლედ, სულ რამდენიმე დღე დასჭირდა მოლაპარაკებას.

– სანამ გოლდენ სტეიტთან კონტრაქტს გააფორმებდით, სხვა კლუბებთან თუ გამართეთ მოლაპარაკება?

– თავისუფალი აგენტების ინსტიტუტს პატივს ვცემ. რა თქმა უნდა, დავინტერესდი ყველა შემოთავაზებით, რომლებიც მქონდა და ასეთები იყო სხვადასხვა კლუბიდან, მაგრამ ბევრი ფიქრის შემდეგ ჩემთვის გადავწყვიტე – მოდი, გავიმეოროთ შარშანდელი, რადგან ის დიდებული სეზონი იყო.

– რას იტყვით კლივლენდსა და ბოსტონს შორის მომხდარ ცვლილებებზე, ფიქრობთ, რომ წლეულს ჩემპიონობის უკეთესი შანსები გაქვთ?

– მჯერა, რომ კონცენტრაცია მხოლოდ ისეთ რამეებზე უნდა გააკეთო, რისი კონტროლიც შეგიძლია. უნდა იფიქრო საკუთარი გუნდის ფორმაზე, ვარჯიშებზე, ყველაფერზე და ნაკლებად გადარდებდეს სხვების ამბები. ჩვენ ნბა-ს საუკეთესო გუნდი გვყავს და მხოლოდ საკუთარ თავებზე უნდა ვიფიქროთ. გუნდში დიდი ტალანტია მოგროვებული. უფრო შარშანდელ სეზონზე ვნერვიულობდი, ვიდრე წლევანდელზე. მაშინ ბევრი ახალი კალათბურთელი იყო (მათ შორის, მეც) და კაცმა არ იცის, როგორ შეეწყობიან ახლები გუნდს. ახლა ეს ყველაფერი გამართულად მუშაობს. სიმართლე გითხრათ, უკეთეს სეზონს ველი, გუნდისთვისაც და ჩემთვისაც. გასულ სეზონში მძიმე სტარტი მქონდა, დიდხანს ვეჩვეოდი ახალ გუნდს, არ ვიცოდი, რა მოლოდინი უნდა მქონოდა... ახლა თავდაჯერებული ვარ. ვფიქრობ, უკეთესი სეზონი გვექნება.

– კევინ დურანტმა ნაკლები თანხა მიიღო იმისთვის, რომ გუნდის შენარჩუნება შესაძლებელი ყოფილიყო. რას იტყვით მის შესახებ?

– ეს იყო მისი პერსონალური გადაწყვეტილება. ამასთან, კარგად დაგვანახა, თუ როგორი ადამიანია კევინი. იმის გარდა, რომ ბრწყინვალე კალათბურთელია, ის დიდებული პერსონაა. ამ ლიგაში დიდი ხანია ვთამაშობ და ყველას არ ადარდებს გუნდის ინტერესები და ყველა არ ფიქრობს თანაგუნდელებზე. ამიტომ კევინს დიდ პატივს ვცემ. თუ შენი საქმით სიამოვნებას არ იღებ, წარმატებული ვერ იქნები. კევინი ამის ნათელი მაგალითია – იგი დიდ სიამოვნებას იღებს უორიორსში თამაშით.

– რას იტყვით ახალი კალათბურთელების შესახებ – ომრი კასპი ნიკ იანგი, ჯორდან ბელი.

– ყველა ძალიან კარგი კალათბურთელია. ომრის ვიცნობ, ნიკის წინაღმდეგ მითამაშია. ჯორდანიც გავიცანი და ის ზუსტად ერგება ჩვენს გუნდს. ნიკი და ომრი დიდად წაგვადგებიან, ჯორდანს კი ყველაფერი წინ აქვს, მან ახლა უნდა ისწავლოს, რას ნიშნავს ნბა-ში თამაში და ყველაფერი კარგად იქნება.

იმერეთი და ტორპედო თასის ნახევარფინალში გავიდნენ



იმერეთი-ნორჩი დინამო 2:2 (4:2პ)

ხონი. ცენტრალური

0:1 ჯოჯუა (15პ), 2:2 სულაძე (22), 1:2 კალაძე (49), 2:2 საღარეიშვილი (84)

34-ე წუთზე სულაძემ ვერ გამოიყენა პენალტი

იმერეთი: მეძველია, ხელაძე, მანაგაძე, ლობჟანიძე, სულაძე, ნიკურაძე (მუშკუდიანი 21), საღარეიშვილი, გაბუნია, კუხალაშვილი (კოხრეიძე 63), ხანთაძე, ხმელიძე (ბაბუნაშვილი 59)

ნორჩი დინამო: მიქავა, ლობჟანიძე, ძამსაშვილი, თოდუა, კალაძე, ბეროშვილი, კაშია, გოგობერიშვილი, ჯოჯუა, ბეროშვილი (ბუკუა 65), დეისაძე, ფიფია (შენგელიძე 85)

საქართველოს თასის ნახევარფინალში მინიმუმ ერთი მესამელიგელი რომ გავიდოდა ამ წყვილიდან, იყო ნათელი. ორივე გუნდმა იმდენი მოახერხა, რომ მეოთხედფინალში აღმოჩნდა და ერთმანეთში უნდა გაერკვიათ შემდეგ ეტაპზე გამსვლელი გუნდის ვინაობა. დაძაბულ ბრძოლაში ეს ხონის იმერეთმა მოიპოვა.

ანგარიში ნორჩმა დინამოელმა ჯოჯუამ პენალტით გახსნა, რასაც სულაძემ უმალ უპასუხა, მაგრამ 34-ე წუთზე იმავე სულაძეს შეეძლო წინ გაეყვანა ხონელები, თუმცა 11-მეტრიანი გააცუდა.

მე-2 ტაიმის დასაწყისში კალაძემ ისევ დააწინაურა ნორჩი დინამო. თუმცა, მასპინძლებმა ბოლომდე იბრძოლეს, 84-ე წუთზე საღრიშვილმა კვლავ გაათანაბრა და თამაში დამატებით დროში გადაიყვანა.

დამატებითი დრო უგოლოდ გაილია და საქმე პენალტების სერიამ გადაწყვიტა, იმერეთმა 4:2 იმარჯვა და ნახევარფინალში გავიდა.

შევარდენი-ტორპედო 1:2

თბილისი. მიხეილ მესხი

0:1 კუტალია (9), 1:1 მაღალდაძე (50), 1:2 ტუღუში (89)

შევარდენი: შეყრილაძე, ჭელიძე, ჩიკვაიძე, მაისურაძე, მაღრაძე (შალოლაშვილი 72), ოდიკაძე, ფოფხაძე, მაღალდაძე, კობერიძე, ბულუხაძე

ტორპედო: ქვილითაია, ტაბატაძე, ჭიჭინაძე, ხურცილავა, კუხიანიძე (გიგაური 85), ფალავანდიშვილი, კორობკა (ბაბუნაშვილი 60), კუტალია, ქიმაძე, ბერიაშვილი (კვირკვია 68), ტუღუში

თასის მფლობელმა ქუთაისის ტორპედომ თბილისში მესამელიგელ შევარდენი 1906-ს 2:1 სძლია.

ანგარიში ლევან კუტალიამ თავური დარტყმით გახსნა, საგოლე პასი კი ვაჟა ტაბატაძის იყო – 0:1.

შევარდენმა ბოლომდე იბრძოლა და მეორე ტაიმის დასაწყისში წონასწორობა გიორგი მაღალდაძის გოლით აღადგინა – 1:1.

თამაში დამატებითი დროისკენ მიდიოდა, როცა ბექა ტუღუშმა შორიდან ულამაზესი გოლით თავისიანებს გამარჯვება და ნახევარფინალის საგზური მოუტანა.

შედეგები

12 სექტემბერი

ფეხბურთი

უეფას ჩემპიონთა ლიგა

ბაიერნი-ანდერლეხტი	3:0
ბარსელონა-იუვენტუსი	3:0
ბენფიკა-ცსკა	1:2
მანჩესტერი-ბაზელი	3:0
ოლიმპიაკოსი-სპორტინგი	2:3
რომა-ატლეტიკო	0:0
სელტიკი-პსჟ	0:5
ჩელსი-ყარაბახი	6:0

ინგლისი. ჩემპიონლიგა

ასტონ ვილა-მიდლსბრო	0:0
ვულვზი-ბრისტოლი	3:3
ქპრ-მილუოლი	2:2
ლიდსი-ბირმინგემი	2:0
ნორვიჩი-ბარტონი	0:0
პრესტონი-კარდიფი	3:0
სანდერლენდი-ნოტინგემი	0:1
უენსდი-ბრენტფორდი	2:1
ბოლტონი-შეფილდი	0:1

ფინეთი. ვეიკაუსლიგა

მარიეჰამნი-ინტერი	2:1
ჰიკი-ჰიფკი	2:1

მოამზადა მისეილ ყორჟოლიანმა

საქართველომ რუმინეთში ფრე ითამაშა და საშინაო მატჩს ელის

რუმინეთი-საქართველო 2:2

0:1 კურტანიძე (09:44), 0:2 კაკაბაძე (14:29), 1:2 სავიო (24:09), 2:2 სავიო (24:59)

რუმინეთი: იანკუ; ფ.მატეი, მ.მატეი, რადუკუ, სავიო; ტონიცა, ლუპუ, იგნატი, პინტუ, სტოიკა, პაულო ფერეირა, სუჩი, კსომა, პანზარუ

საქართველო: ბუკია; თოფურია, რონინიო, კურტანიძე, ფუმასა; ჯამბურია, კაკაბაძე, ნიშნიანიძე, კობაიძე, თოდუა, მაისაია, ნიყვაშვილი

საქართველოს ფუტსალის ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატის პლეიოფის პირველი შეხვედრა რუმინეთში გამართა და შინ სასურველი ანგარიშით დაბრუნდა.

თუმცა, დავიწყოთ იმით, რომ რუმინული ქალაქ დევას დარბაზი სოფლისას უფრო ჰგავდა. ახლოს იყო კედლები და დიდი ტრავმის საშიშროება. თამაშიც ნერვული გამოდგა, ხისტი ორთაბრძოლებით სავსე, რასაც თან კინკლაობა მოსდევდა და არცთუ იშვიათად.

რუმინელებმა თავიდან მწვავედაც შემოგვიტიეს და პირველივე წუთზე ორჯერ გადავრჩით. მერე საქართველომაც შეუტია და ნიკა კურტანიძემ რონინიოს პასით გახსნა ანგარიში – 0:1.

მე-15 წუთზე ქართველებმა უპირატესობა გაზარდეს: სწრაფი კონტრშეტევის შემდეგ ფუმასამ იდეალური პასით მეკარესთან პირისპირ დატოვა მურთაზ კაკაბაძე, რომელმაც პირველი ცდიდან ვერ გაიტანა, მაგრამ მეკარის მოგერიებული ცარიელ კარში გადაგზავნა – 0:2.

მეორე ტაიმის დასაწყისში 2 მომენტი ვერ გამოვიყენეთ და დავისაჯეთ – სავიომ 50 წამში წონასწორობა აღადგინა – 2:2.

რუმინელებმა ისევ სახიფათოდ შემოგვიტიეს, მაგრამ მეკარე ბუკია დიდებულად თამაშობდა. უქმად არც ჩვენ ვიყავით – კურტანიძეს საქართველოს ნაკრების დაწინაურება კიდევ ერთხელ შეეძლო, მაგრამ კარს ააცილა. კიდევ ერთი შანსი ჰქონდა, რონინიოს, თუმცა რუმინელთა მეკარემ ივარგა. გადავრჩით მატჩის ბოლოსაც, როცა ბუკიასთან პირისპირ დარჩენილმა მატეიმ მიზანს ააცილა.

საბოლოოდ – 2:2. საპასუხო მატჩი თბილისში 26 სექტემბერს გაიმართება.

ნაგელსმანი ფესვებისკენ მიიწევს

გერმანული მედიის ცნობით, მწვრთნელი კარლო ანჩელოტი ზაფხულში დატოვებს მიუნხენის ბაიერნს, ხოლო მის ნაცვლად ჰოფენჰაიმის 30 წლის დამრიგებელი იულიან ნაგელსმანი დაინიშნება.

ეს არა ეჭვის დონეზე, არამედ გადაწყვეტილი ამბავია, რადგან იულიანი ძალიან პერსპექტიული სპეციალისტია და „რეკორდმაისტერი“ არ გაიმეორებს 2008 წელს დაშვებულ შეცდომას, როდესაც გუნდი კლოპის ნაცვლად კლინსმანს ჩააბარეს.

თავად ნაგელსმანი ამბობს, რომ ძირძველი მიუნხენელია, ბაიერნი მისი ოცნებაა, ბავარიის დედაქალაქში ახალ სახლს აშენებს, სადაც მალე მეუღლეს და შვილს გადაიყვანს, ბედს არ უჩივის და თუ ოცნება აუხდა და ეს გუნდი ჩააბარეს, მასზე ბედნიერი ადამიანი დედამიწის ზურგზე არ იქნება.

იულიან ნაგელსმანი:

– ბაიერნი ჩემს ოცნებებში დიდ როლს თამაშობს. მრავალი წელი ვცხოვრობდი მიუნხენში და ლანდსბერგ-ამ-ლეხში დავიბადე, რომელიც მიუნხენიდან არცთუ ისე შორსაა. ჩემი ოჯახიც ძალიან მალე მიუნხენში გადავა, ჩვენ იქ სახლს ვაშენებთ. ეს ჩვენი მშობლიური ქალაქია. მაგრამ თუ ბავარიელთა მწვრთნელი არ გავხდები, მაინც ბედნიერ ადამიანად წავალ ამ ქვეყნიდან. ისედაც ბედნიერი ცხოვრება მაქვს, მაგრამ ბაიერნი კიდევ უფრო გამაბედნიერებდა. თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩემი წარმატება მთლიანად ბაიერნზეა დამოკიდებული.

ნაგელსმანი ახალგაზრდულ დონეზე მიუნხენ 1860-სა და აუგსბურგში გამოდიოდა. მუხლის მუდმივი ტრავმების გამო იძულებული იყო, 19 წლის ასაკში ფეხბურთელის კარიერა დაესრულებინა. უნივერსიტეტში 4 სეზონი ბიზნესის მართვის სტრატეგიას გაეცნო, მოგვიანებით კი სპორტულ მეცნიერებას შეისწავლიდა.

შემდეგ რამდენიმე ხნით აუგსბურგში დაბრუნდა, სადაც ტომას ტუხელთან ერთად მუშაობდა.

2012-13 წლის სეზონში ჰოფენჰაიმის მწვრთნელის თანაშემწე გახლდათ. ასევე ჰოფენჰაიმის ახალგაზრდულ კლუბს წვრთნიდა და 2014 წელს მათ ჩემპიონთა ტიტულიც კი მოაგებინა.

2016 წლის 10 თებერვალს კი ჰოფენჰაიმის მთავარი გუნდის მთავარ მწვრთნელად დაინიშნა და ბუნდესლიგის ისტორიაში ყველაზე ახალგაზრდა მწვრთნელი გახდა – იმ მომენტისათვის 28 წლის გახლდათ. 2016 წლის მონაცემებით ნაგელსმანი ბუნდესლიგის საუკეთესო მწვრთნელად იქნა აღიარებული, ხოლო 2016-17 წლის სეზონში მან მოახერხა და გუნდს ჩემპიონატში მე-4 ადგილი დააკავებინა, რომელიც კლუბის ისტორიაში საუკეთესო შედეგია.

ჰაარლემელი განგსტერი გუჩის სახე გახდა

დენიელ დაპერ დან დეი, რომელიც 80-იან წლებში განგსტერად იყო ცნობილი, შემდეგ კი, როგორც სტილისტი და ქუჩის მოდის კანონმდებელი, რომელიც ჰიპ-ჰოპის ვარსკვლავებს აცმევდა, გუჩის საკრუიზო კოლექციის სახე გახდა. ის ასევე იტალიურ ბრენდთან ერთად ე.წ. კაპსულის კოლექციას გამოუშვებს.

ადრე დაპერ დანმა ბრენდის კრეატიული დირექტორი ალესანდრო მიკელე პლაგიატში დაადანაშაულა – მისი თქმით, პიჯაკის დიზაინი მოცულობითი სახელოებით და გუჩის პრინტით, რომლებიც 2018 წლის საკრუიზო კოლექციაში შევიდა, ჰაარლემელი მოდის კანონმდებლის, 1989 წელს გამოშვებული ჩასაცმელიდანაა გადაღებული, რომელიც ოლიმპიელი მედალოსნის დაიენ დიქსონისთვის შექმნა. მას შემდეგ, რაც ალესანდრო მიკელემ ფაქტი აღიარა, ფეშენ-ინდუსტრიის მოღვაწეები თანამშრომლობაზე შეთანხმდნენ.

10 წლის ჩინელი ვუნდერკინდი ინსტიტუტში ისწავლის

ჩინეთის პროვინცია ხენანის ქალაქ შანციუში 10 წლის გოგონამ ტექნოლოგიურ ინსტიტუტში ჩააბარა. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ჩინური პორტალი ავრცელებს.

მისაღებ გამოცდებზე ვუნდერკინდმა ჩჟან ივენმა 353 ქულა მიიღო. ეს მისი მეორე მცდელობა იყო. მან ცხრა წლის ასაკშიც სცადა ინსტიტუტში მისაღები გამოცდების ჩაბარება, მაგრამ მაშინ მხოლოდ 172 ქულა მიიღო.

ჩინელი ბავშვების უმრავლესობისგან განსხვავებით, ჩჟან ივენს არასოდეს უვლია სახელმწიფო სკოლაში. მისი სწავლით მისი მშობლები იყვნენ დაკავებულები.

გოგონას მამას იმედი აქვს, რომ დროთა განმავლობაში მისი შვილი შანციუს ტექნოლოგიური ინსტიტუტიდან სხვა უმაღლეს სასწავლებელში გადავა, სადაც ის სწავლის გაგრძელებას ასპირანტურაში შეძლებს და სამეცნიერო ხარისხს მიიღებს.

ინდოეთის ტყეში მაიმუნები შიშისგან დაიღუპნენ

ინდოეთის სატყეო დეპარტამენტის თანამშრომლებმა ტყეში მდებარე პატარა მდელოზე თორმეტი მკვდარი მაიმუნი აღმოაჩინეს. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ბრიტანული გამოცემა ავრცელებს.

მათი აზრით, ცხოველები მოწამლულები იყვნენ და გამოსაკვლევად ისინი ინდოეთის უტარ-პრადეშის შტატის ვეტერინარულ საავადმყოფოში გადაიყვანეს. მაიმუნების გაკვეთამ აჩვენა, რომ ყველა მათგანი გულის გაჩერების შედეგად იყო დაღუპული. სპეციალისტების აზრით, ცხოველები შესაძლოა ვეფხვმა შეაშინა. ადგილობრივი მცხოვრებლები ამტკიცებენ, რომ, სავარაუდოდ, შესაბამის დროს ტყეში ვეფხვის ღრიალის ხმა ისმოდა.

ტელეინტერვიუს დროს ძაღლმა ნამცხვარი მოიპარა

ჩილეს ქალაქ ანდაკოლიოში ძაღლმა ნამცხვარი-ემპანადი სატელევიზიო ინტერვიუს დროს მოიპარა. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ადგილობრივი გამოცემა ავრცელებს.

რეპორტიორი ესაუბრებოდა ქალს, რომელმაც ემპანადი გამოაცხო. ძაღლმა ისარგებლა იმით, რომ ადამიანები საუბარში იყვნენ გართულები და ერთ-ერთი ნამცხვარი ჩუმად გაიტაცა.

ამ შემთხვევის ამსახველმა ვიდეომ ჩილეში ვირუსული პოპულარობა მოიპოვა. ხალხი ხუმრობს, რომ ჟურნალისტი ძაღლთან შეთანხმებით მოქმედებდა და მცხობელ ქალს სპეციალურად გაუფანტა ყურადღება.

ტვიტერში ვრცელდება პლაკატი, რომელიც მოუწოდებს ჩილეს საპრეზიდენტო არჩევნებში, რომელიც 19 ნოემბრისთვისაა დანიშნული, ხმა ემპანადიან ძაღლს მისცენ.

ემპანადს მრავალ ესპანურენოვან სახელმწიფოში აცხობენ, თუმცა ჩილეში ის ეროვნულ კერძად ითვლება.

შიშველი ბელგიელი მოდელი ეგვიპტის ციხეში აღმოჩნდა

ბელგიელი მოდელი მარისა პაპენი და ავსტრალიელი ფოტოგრაფი ჯესე უოკერი კარნაკსის ეკლესიაში შიშველი ფოტოების გადაღების გამო ეგვიპტის ციხეში მოხვდნენ.

პაპენი მთელ მსოფლიოში მოგზაურობს და ტანსაცმლის გარეშე ფოტოსურათების გადაღება უკვე 50 ქვეყანაში მოასწრო. ეგვიპტის პირამიდების ფონზე გადაღებამ უპრობლემოდ ჩაიარა. ფოტოგრაფმა და მოდელმა დაცვის თანამშრომელს ქრთამი მისცეს და მისი დახმარებით ადგილობრივი ცნობისმოყვარე მცხოვრებლები თავიდან მოიშორეს. კარნაკსის ეკლესია გაცილებით უკეთ იყო დაცული, ამიტომ ისინი მის დახურვას დაელოდნენ. როდესაც პაპენი და უოკერი გადაღებას შეუდგნენ, ოთხი მცველი გამოჩნდა. მათ მოდელი და ფოტოგრაფი დაიჭირეს და პოლიციაში მიიყვანეს. გზაში ფოტოგრაფმა სურათების წაშლა მოასწრო.

პაპენი და უოკერი ცდილობდნენ პოლიციელები დაერწმუნებინათ, რომ მხოლოდ განათებას ამოწმებდნენ და ფოტოსურათები არ გადაუღიათ, მაგრამ მათ არ დაუჯერეს. ფოტოგრაფი გაჩხრიკეს, შემდეგ კი ორივე ციხეში გადაიყვანეს.

– პირველ საკანში 20 მამაკაცი შეყარეს, – განაცხადა მოდელმა, – ვიღაც გათიშული ეგდო იატაკზე, ვიღაც ხელებს იწვდიდა გისოსებიდან, ხალხს სისხლი სდიოდა, ყვიროდნენ. ცხოვრებაში მსგავსი არაფერი მინახავს.

რამდენიმე საათის შემდეგ პაპენი და უოკერი სასამართლოში მიიყვანეს. მათ თავი სულელ ტურისტებად წარმოადგინეს და აკრძალვის თაობაზე მათთვის არაფერი იყო ცნობილი.

– მოსამართლე თავისი დიდი თითებით ფურცლავდა წიგნს, რომელიც პირამიდებივით ძველებურად გამოიყურებოდა, – ამბობს პაპენი, – ბოლოს და ბოლოს, მან გაფრთხილება მოგვცა და გვითხრა, რომ ასეთი სისულელეები და სამარცხვინო ქმედებები აღარ ჩავიდინოთ. ჩვენ თანხმობის ნიშნად თავი დავუქნიეთ.

ლონდონის მიწისქვეშეთში 130 ტონიანი ცხიმის, ხელსახოცებისა და პრეზერვატივების გროვა აღმოაჩინეს



ლონდონის კანალიზაციაში აღმოაჩინეს 250 მეტრიანი ცხიმისა და ნაგვის გროვა, რომლის წონა 130 ტონას შეადგენს. ამ ინფორმაციას ბი-ბი-სი ნიუსი ავრცელებს.

ცხიმის „აისბერგი“ გაიჭედა მილში, რომელიც ლონდონის უაიტჩეპელის რაიონის ქვეშ XIX საუკუნეში დედოფალ ვიქტორიას დროს გაიყვანეს. ის წარმოქმნა ცხიმმა და ზეთმა, რომელთაც დაემატა ხელსახოცები, საფენები და გადაყრილი პრეზერვატივები. ამ ყველაფერმა კი ერთიანი მასის სახე მიიღო.

კომპანიაში თაიმს ვოთერ, რომელიც ლონდონის წყლით მომარაგებასა და სადინარების გაწმენდაზეა პასუხისმგებელი, ამტკიცებენ, რომ ეს ცხიმის ერთ-ერთი ყველაზე დიდი გროვაა, რომელთანაც კი მათ საქმე ჰქონიათ. მის სალიკვიდაციოდ სამი კვირა დასჭირდებათ.

კომპანიის ხელმძღვანელის მეთ რიმერის მტკიცებით, ცხიმის გროვა თავისი სიმტკიცით ბეტონს შეესაბამება. მისი თქმით, მის გაჩენაში დამნაშავე ადამიანები არიან, რომლებიც ნიჟარებში ზეთს ასხავენ და უნიტაზებში ნაგავს ყრიან.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ასტროპროგნოზი

14 სექტემბერი

ვერძი – ეს დღე სულიერ სიმშვიდეს მოგიტანთ. აგიმაღლდებათ შრომისუნარიანობა. **კურო** – ყოველგვარი საქმე გადადეთ და კარგად დაისვენეთ. მატერიალური მდგომარეობა საგრძნობლად გიუმჯობესდებათ. **ტყუპები** – ბიზნესში წარმატება გელით. პლანეტა ვენერას მფარველობის მეოხებით სიყვარულში გაგიმართლებთ. **კირჩხიბი** – საინტერესო ცვლილებების დღეა. შესაძლოა, გავლენიანი მფარველი გამოგიჩნდეთ. **ლომი** – რისკი გაამართლებს. მთავარია, საკუთარი ძალების რწმენა იქონიოთ და პროფესიონალიზმი აიმაღლოთ. **ქალწული** – დღის პირველ ნახევარში საოჯახო საქმეების მოგვარებისას პრობლემები შეგექმნებათ. საღამოს გელით რომანტიკული თავგადასავალი. **სასწორი** – ენერგიულად ხართ. ყოველგვარ დაბრკოლებას გადალახავთ. **ღრიანკალი** – სიტუაცია უკეთესობისკენ იცვლება. ერიდეთ ქალაქიდან გასვლასა და ფიზიკურ დატვირთვას. **მშვილდოსანი** – საქმეს პრაქტიკულად მიუდექით. ღრუბლებში ნუ დაფრინავთ. **თხის რქა** – ნუ გარისკავთ. თუ ძვირფასი ნივთის შეძენა გადაწყვიტეთ, უმჯობესი იქნება, საამისოდ სხვა დრო შეარჩიოთ. **მერწყული** – თქვენი შემოსავალი მცირედ, მაგრამ მაინც იზრდება. ახალი იდეების რეალიზაციას დიდი სიფრთხილით მიუდექით. **თევზები** – კრიტიკული დღეა. თავი შეიკავეთ ემოციების გამოხატვისგან. საჭიროების შემთხვევაში დახმარება მეგობრებს სთხოვეთ.

გისუჰვებთ ბედნიერ დღეს!

ჯოსვოიდი ბ



შვეულად: 1. რაიმეს მარაგი; 2. საუნივერსიტეტო სასწავლებელი ძველად; 3. ბადაგისა და ფქვილისგან მომზადებული ტკბილეული; 4. ქართველი მოდელიორი ქალი; 5. სქელი შავი სითხე, შაქრის წარმოების ნარჩენი; 9. მევენახეობა-მეღვინეობის რაიონი ავსტრიაში; 11. სამხრეთ ამერიკაში გავრცელებული ლამასებრთა ოჯახის შინაური ცხოველი; 12. ალპინისტთა ბანაკი სვანეთში; 14. ალპინისტთა წრიაპიანი ფეხსაცმელი; 18. მოკლე ალეგორიული მოთხრობა; 19. მანძილის საზომი ერთეული საფრანგეთში.

თარაზულად: 4. ბუნებრივი ნაკრძალი ქვემო ქართლში; 5. ფერწერული ტილო „შავი კვადრატის“ ავტორი; 6. სუბტროპიკული ხილი; 7. პერიოდულად ამოფრქვევადი ცხელი წყლის წყარო; 8. ჰოლივუდის კინოვარსკვლავი ქალი; 10. ხშირი წიწვოვანი ტყის ზოლი ევროპის, აზიისა და ჩრდილო ამერიკის ჩრდილოეთში; 13. ჰოლანდიის ფეხბურთელთა გუნდი; 15. გადასახადების ამკრეფი დაწესებულება ძველად საქართველოში; 16. ქართული ფოლკლორული ანსამბლი; 17. კურორტი ბორჯომის ხეობაში; 20. ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ერთეული საფრანგეთში; 21. ტბა სამხრეთ საქართველოში; 22. გრძელდრუნჩიანი აფრიკული მაიმუნი; 23. მადრიდის „რეალის“ ფეხბურთელთა გუნდის მწვრთნელი.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. ტრიესტი; 2. სამაია; 3. კატეხიზმო; 4. ჯოყოლა; 5. ნარმანია; 7. მასა; 11. ტანკერი; 13. პაროდია; 15. ტუსკი; 16. ბზიფი; 18. ნარმა; 19. ლისტი.

თარაზულად: 6. რეიმსი; 8. საიგაკი; 9. საყდარი; 10. საფანტი; 12. ზაქსი; 14. კავანი; 17. მირანგულა; 20. აგევზია; 21. სკეტჩი; 22. მოსტრა; 23. ჩინეჩიტა.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. ერებუსი; 2. ჰოპკინზი; 3. სტრუქტურა; 4. მორავია; 5. კატაკლიზმა; 10. ბაკარი; 11. სტადიონი; 12. ვისკოზა; 13. ფლორიდა; 16. ჯამბაზები; 17. ლილახანა; 19. აფხაზეთი; 21. თრუსო; 23. შაორი.

თარაზულად: 6. ტრიფოლიატი; 7. ფოფოდია; 8. მურსია; 9. აქილევსი; 14. კლაკიორი; 15. კოსმეტიკა; 18. შონია; 20. ლიკეუმი; 22. ხაშლამა; 24. ერმისა; 25. რეფლექსი; 26. გურონი.

ნიაზ დიასამიძე ავტომობილების ტექდათვალიერებას ითხოვს

მუსიკოსი და მომღერალი ნიაზ დიასამიძე ავტომობილების ტექდათვალიერებას ითხოვს და თბილისში არსებული გაუსაძლისი ეკოლოგიური მდგომარეობით შეწუხებულია.

ნიაზ დიასამიძე:

– მოვითხოვოთ ავტომობილების ტექდათვალიერებას! სასწრაფოდ! აღარ დარჩა ჟანგბადი.... თბილისში! არანაირი გამართლება აღარ მიიღება, როდესაც მომავალ თაობას ეხება საქმე! სოს თბილისი!“

თამო ვაშალომიძე დაინიშნა



მოდელი თამო ვაშალომიძე დაინიშნა. ფოტოები ინტერნეტში თამომ თავად გაავრცელა, თუმცა ვინ არის მისი რჩეული, ეს საიდუმლოდ დატოვა.

ნიშნობის ბეჭედი, ულამაზესი ვარდების თაიგული და რომანტიკული გარემო – მოდელის ნიშნობის მთავარი ატრიბუტები იყო. თამომ ფოტოების გამოქვეყნების შემდეგ უამრავი მილოცვა და დადებითი კომენტარი მიიღო, თუმცა კითხვაზე, ვინ არის მისი რჩეული, მოდელმა უპასუხა, რომ დაინტერესებული საზოგადოება მის ვინაობას ძალიან მალე გაიგებს.

„მარაოზე“ ნინა წკრიალაშვილის „გარდერობი“ ბრუნდება

„მარაომ“ მაუწყებლობა განაახლა. როგორც არხის ოფიციალური გვერდი იუწყება, სულ მალე ეთერს დაუბრუნდება მაყურებლისთვის საყვარელი გადაცემები. უკვე დაანონსდა „უხერხული კითხვების“ ეთერში გასვლის თარიღი და მისი პირველი სტუმარი.

სულ მალე ეთერს დაუბრუნდება გადაცემა „გარდერობიც“. მისი წამყვანი კვლავ მომღერალი ნინა წკრიალაშვილი იქნება. ამ ინფორმაციასაც არხის ოფიციალური გვერდი ავრცელებს და ნინა წკრიალაშვილის მოკლე ვიდეოჩანაწერს ავრცელებს.

„გარდერობი“ ცნობილ ადამიანებს სტუმრობს და მათ გარდერობებს ათვალიერებს. ნინა წკრიალაშვილი ოპერატორთან ერთად ცნობილ მომღერლებს, მსახიობებს, მხატვრებს, მოდელებს, ტელეწამყვანებს თუ ჟურნალისტებს სტუმრობს და მათ გარდერობში არსებული ძვირფასი თუ უბრალო სამოსით, აქსესუარებით და სამკაულებით ინტერესდება.

სამგლოვიარო განცხადებები

გურამ სულავას გახსენება

ჩემო საყვარელო მეუღლევ, გიხსენებ და შენს გახსენებას წარსულში ვერ ვეგუები. ჩემო საყვარელო, გაილია ერთი უბედური წელიწადი და მე ასე მარტო დარჩენილს, ძალიან მიჭირს უშენოდ ცხოვრება. სულ იმის ფიქრში ვარ, როდის წამოვალ შენთან, რომ ისევ ერთად ვიყოთ. მიჭირს უშენობა. შენ ჩემთვის ყოველთვის ადამიანობის ნიმუში იქნები. გემშვიდობები.

შენთან ერთად დამარხული შენი მეუღლე

მანანა ხომასურიძე-სულავა

სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.

„ნიჭიერის“ წამყვანები ვანიკო თარხნიშვილი და გიორგი ყიფშიძე იქნებიან

ყველაზე რეიტინგული შოუს „ნიჭიერის“ წამყვანები კვლავ ვანიკო თარხნიშვილი და გიორგი ყიფშიძე იქნებიან. შოუ ტელეკომპანია „რუსთავი 2“-დან „იმედზე“ გადავიდა, შესარჩევი ტურები მთელ საქართველოში ჩაატარა და ახლა მაყურებელთან შესახვედრად ემზადება.

„ნიჭიერის“ ჩაწერები უკვე დაიწყო და მისი წამყვანებიც სხვადასხვა ნიჭით დაჯილდოებულ კონკურსანტებთან ერთად გადაღებების აქტიურ პროცესში არიან ჩართულები.

„ნიჭიერის“ პროდიუსერებმა გიორგი ხაბურზანიამ და დემნა ჯაფარიძემ ტელეკომპანია რუსთავი 2-ის დატოვება და „იმედში“ გადასვლა გადაწყვიტეს. მათთან ერთად არხი დატოვეს პროდიუსერების გუნდის წევრებმაც და შოუს წამყვანებმაც.

ამ ეტაპზე უცნობია, ვინ იქნებიან „ნიჭიერის“ მორიგი სეზონის ჟიურის წევრები. მათი ვინაობა უახლოეს მომავალში გახდება ცნობილი.

გიორგი ხაბურზანიას და დემნა ჯაფარიძის „რუსთავი 2“-დან წასვლის შემდეგ, მათი ადგილი პროდიუსერმა და რეჟისორმა დავით იმედაშვილმა დაიკავა. ის წლების წინ ტელეკომპანია „იმედში“ მუშაობდა და არაერთი შოუს პროდიუსერი იყო.

რა სიახლეებს შესთავაზებს ახალი სატელევიზიო სეზონიდან დავით იმედაშვილი რუსთავი 2-ის ერთგულ მაყურებელს, ამ ეტაპზე უცნობია.

გოგი გვახარია: „ჩვენ გვჭირდება კულტურის სამინისტრო, რომელიც ხელოვნებას იდიოტებისგან დაიცავს და არა მოემსახურება იდიოტებს“

ასე მიაჩნია კინომცოდნე გოგი გვახარიას:

– 1981 წელს საფრანგეთის ახლად დანიშნულმა კულტურის მინისტრმა, ჟაკ ლანგმა ღია წერილით მიმართა მთავრობას და ნაციონალურ კონგრესს, მოეხსნათ „პორნოგრაფიის“ გრიფი ოშიმას ფილმისთვის „გრძნობათა იმპერია“.

„ნუ ურევთ დიდ ხელოვნებას და პორნოგრაფიასო...“ ლანგს არ ჰყავდა ბევრი მხარდამჭერი არც მთავრობაში და არც ფრანგულ საზოგადოებაში. მაგრამ, მოგვიანებით, ბერლინის ფესტივალზე იგი იტყვის დაახლოებით ასეთ რამეს – კულტურის სამინისტრო იმისთვის კი არ არის, რომ რაღაც დროებით ღონისძიებებზე დახარჯოს ფული, არამედ იმისთვის, რომ დაიცვას დიდი ხელოვნება ფარისევლებისგან და ზოგჯერ, იდიოტებისგან. ასეთი ხალხი კი ყოველთვის იყო და იქნება ჩვენს მთავრობაშიო.

„გრძნობათა იმპერია“ საფრანგეთის ეკრანებზე გამოვიდა. იმავე წელს ფილმი „ყველა დროს და ხალხის კინოშედევრების“ საუკეთესო ათეულში მოხვდა.

ჩვენ გვჭირდება კულტურის სამინისტრო, რომელიც ხელოვნებას იდიოტებისგან დაიცავს და არა მოემსახურება იდიოტებს. პრობლემა ისაა, რომ არც ოშიმა გვყავს და არც ჟაკ ლანგი. იდიოტები, იცოცხლე, ბევრი გვყავს.

მხატვარი რეზო ადამია კოლხურ-მეგრული ოდების გადარჩენის ინიციატივით გამოდის

მხატვარი და მწერალი რეზო ადამია კოლხურ-მეგრული ოდების გადარჩენის ინიციატივით გამოდის. ეს მოძრაობა აბაშაში უკვე დაიწყო. წამოწყებას მხარს უჭერს აბაშის საკრებულოს თავმჯდომარე პაატა ქურდოვანიძე. საქმეში ჩართულია აბაშის გამგეობა, საკუთარი წვლილის შეტანა გადაწყვიტა მხატვარმა მაია ადამიამაც.

პროექტი შედგენილია და ამ პროექტის მიხედვით დაიწერება წერილი, რომელსაც ხელს მოაწერენ გამოჩენილი ადამიანები, რის შემდეგაც კულტურის მინისტრს გაეგზავნება ოდების რესტავრაცია-კონსერვაციის მოთხოვნით.

რეზო ადამია, მხატვარი და მწერალი:

– ჩვენი სურვილი და მიზანია, ეს ნაგებობები იუნესკომ მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლების სიაში შეიტანოს და მათ მიერ იქნას დაცული. მეგრული ოდა! კოლხური უძველესი ცივილიზაციის გაგრძელება – უნიკალური ნაშთი, ეს არქიტექტორული კულტურა, ათასწლეულში ტრადიციიდან ტრადიციას გადაეცა, მას ჰქონოდა საცხოვრისის რეალური ფუნქციები, რაც ძალიან პრაქტიკულია დასავლეთ საქართველოს კლიმატში.

როგორც მსოფლიოს ყველა ხალხთა არქიტექტურას აქვს და მათში შეინიშნება სამხრეთის უძველეს ხალხთა ცივილიზაციათა ელემენტები, განსხვავებული ფორმები, ოდის არქიტექტურა ყველა მოწინავე კულტურათაგან ძირფესვიანად განსხვავებულია და გააჩნია თავისი ანდამატური ჰაეროვნება. უცნაური გემოვნება, პეწი, მოხდენილობა და რაც მნიშვნელოვანია, ადგილობრივ ცა და მიწასთან რელიეფთან ღვთიური ხაზებითაა შერწყმული. აქ, ფანტაზია და შემოქმედებითი ინდივიდუალობა უსაზღვროა.

თუ მსოფლიოში არსებობს უძველესი დროიდან მოყოლებული ეროვნული განძ- არქიტექტურა, მათში ოდა ერთ-ერთ და უმნიშვნელოვანესია. ოდა – კოლხურ-მეგრული არქიტექტორული სიძველე აუცილებლად უნდა შეუნარჩუნდეს მხოლოდ მშობლიურ საქართველოს კი არა, კაცობრიობას და პლანეტას.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

სპორტი

ჯობავა მეოთხედფინალისკენ მიიწევს

დასაწყისი მე-12 გვერდზე

თამაშება ბევრმა ფავორიტმა დატოვა და ეს უფრო აძლიერებს ინტერესს ტურნირის მიმართ.

აზმაიფარაშვილმა ასევე აღნიშნა, რომ ანტონ კოვალიოვი არავის გაუძევებია სათამაშო დარბაზიდან და არც არავის აუკრძალავს მისთვის თამაში. ფიდე-ს რეგულაციის თანახმად, მას არასათანადო ჩაცმულობაზე მიუთითეს – ჯერ ტურნირის მთავარმა არბიტრმა, შემდეგ კი ორგანიზატორებმა, თუმცა მოჭადრაკემ არ მიიღო შენიშვნა. კოვალიოვს არ გაუფრთხილებია ორგანიზატორი, რომ აღარ ითამაშებდა, არ გაუსწორებია ანგარიში ბუღალტერიაში. და თუ ბატონი კოვალიოვი უარს იტყვის ფულადი პრიზის აღებაზე, საორგანიზაციო კომიტეტისათვის ამას მნიშვნელობა არა აქვს, რადგან ფიდე-ს ანგარიშზე მთლიანი საპრიზო ფონდი – 1.776 მილიონი დოლარი უკვე გადარიცხულია.

მოამზადა

მიხეილ ყორაყოლიანმა

პროგრამა

ხუთშაბათი 14 სექტემბერი

06.00 მუსიკა პირველზე **06.30** დოკ/ფ "ბრძოლა ვეშაპების გადასარჩენად" **07.30** "ნამდვილი დრო" **08.00** ანიმაცია. "ჯიმი ნიუტრონი" გენიოსი ბიჭუნა" **09.00, 12.00, 16.00, 18.00, 21.25** "მოამბე" **09.15** ტ/სერ. "**გამარჯვებული ვიქტორია**" **10.00, 02.35** "პირადი ექიმი" **11.00** ტ/სერ. "**ჩენტრ პეტრინე**" **12.30** ევრობასკეტ- **2017 13.00, 03.35** დღის მხ/ფ "**მაკლელობის შემოსვლაში აკრიფეთ "მ**" (გ.კელი) **15.00, 05.10** დოკ/ფ "პარალელური სამყაროები" **16.15** დოკ/ფ "ბრძოლა ვეშაპების გადასარჩენად" **17.00** ტ/სერ. "**ოფისი**" **18.30** "ტელებლოგი" **19.00** ტ/სერ. "**ძველი სიდის საიდუმლო**" **20.40** "სპორტის დაფა" **21.00** ტ/სერ. "**ცბიერი მოახლეები**" **22.00** დოკ/ფ **22.20** კალათბურთი ევროპის ჩემპიონატი. **1/2** ფინალური მატჩი. პირდაპირი სტამბოლიდან. **00.20** მხ/ფ "**უკეთესი არ არსებობს**" (ჰ.გრანტი)

06.30 სერ. "**ღირსების სახელით**" **07.30, 08.15, 09.20** იმედის დილა **08.00, 09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 04.30** ქრონიკა **10.10** სერ. "**პაპარაძალი**" **11.20** სერ. "**ფიცი**" **12.30** იმედის დღე **14.40** სერ. "**ელიფი**" **16.00** სერ. "**ოჯახური პორტრეტი**" **17.35** სერ. "**ხაფანგი**" **18.50, 19.03** სერ. "**მოპარული ცხოვრება**" **21.00** სპორტი **21.08** ამინდი **21.10** სერ. "**ძმა**" **22.00** სხვა რაკურსი გია ჯაჯანიძესთან ერთად **23.30** სპორტი იმედზე **00.30** მხ/ფ "**ფიჭვნარს მიღმა**" **02.45** მხ/ფ "**რეპრესია**" **04.45** მხ/ფ "**ელიზა გრეიესი: დაწყევლილი საპანე**"

06.00 სერ. "**დესპოტი ქმარი**" **07.00** სერ. "**დედამთილი**" **07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15** დილამშვიდობისა საქართველო **07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **10.15** სერ. "**მფარველი ანგელოზი**" **12.30** "სხვა შუა დღე" **13.55** სერ. "**ფერიპას საიდუმლო**" **15.30** სერ. "**წარსულის ჩრდილი**" **16.55** სერ. "**უსასრულო მოლოდინი**" **18.50** სერ. "**დესპოტი ქმარი**" **20.03** სერ. "**დედამთილი**" **22.00** პროფილი **23.30** გააცინე და მოიგე **01.30, 02.30** მხ/ფ **03.15** კურიერის დაიჯესტი **04.30** მხ/ფ

08.00 ან/ფ "ვარსკვლავური ომები" **3-4** სერ. **09.00** სერ. "**ცისფერი სისხლი**" **5-6** სერ. **11.00** სერ. "**სასოწარკვეთილი დიასახლისები**" 1–2 სერ. **13.00** სერ. "**ძვლები-5**" **17.00** სერ. "**სიმარილის ანატომია** 3" **4-5** სერ. **19.00** სერ. "**ცისფერი სისხლი**" **7-8** სერ. **21.00** სერ. "**სპირალი**" **4** სერ. **22.30** სერ. "**სამეფო კარის თამაშები 6**" **03.30** მხ/ფ "**მიყვარს უსიამოვნებები**" **05.50** მხ/ფ "**გარდასახვა**"

08.00 ანანდა **08.10** მულტფილმი **08.20** დოკ/ფ **09.20** მულტ/სერ. "ლეკვი ჩემს ჯიბეში" **09.50** სერ. "**სიყვარულსა და შიშს შორის**" **10.40, 13.40, 14.40, 17.40, 21.25, 22.25** ტელემარკეტი **11.00, 14.00, 17.00, 17.55, 19.00, 23.30, 02.20** ახალი ამბები **11.20** სერ. "**ყველაფერი ცხოველების შესახებ**" **11.50, 1.30** მოდი გავეყაროთ **12.40** ბენეფისი **15.00** სერ. "**ბანდოლერა**" **18.00, 03.00** ღია სტუდია **20.00** თოქ შოუ "ცენზურის გარეშე" **21.10** მე რომ ვიყო **21.30** რემისია **22.35** სერ. "**სიყვარულსა და შიშს შორის**" **0.00** მხ/ფ **04.00** სერ. "**რაუ**"

06.15 ქრისტიანული ხელოვნება "მოგონებები ვახტანგ ბერიძეზე" **06.25** მუს. პაუზა **06.40** პატერიკი-განწმენდილი სულის სხეულიდან გასვლა **06.45** აქტუალური თემა "ცრუ სწავლება" **07.25** ქართული ალბომი **07.50** სამყაროს შექმნა **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.25** სიბრძნისმეტყველება **08.30** დ/ფ "ველური ბუნება-უდაბნოს მეომრები" **09.05** "განთიადი" (კოლაჟი) **10.10** შარავანდედი "შალვა ამირანაშვილი, ეკატერინე ჭავჭავაძე" **10.40** საღვთისმეტყველო საუბრები **11.30** ეპოქის სახელები **12.10** მხ/ფ "**ცხელი ზაფხულის სამი დღე**" **13.30** ან/ფ "კონკია" **14.40** გამოყენებითი ხელოვნება "სპილენძი–მალხაზ ბარბაქაძე" **15.05** ქართული ან/ფ **15.25** დ/ფ "ბარტ ვულფი-ჯალგარი" **15.50** ტრაპეზი "ქათმის ქაბაბი" **16.00** კონცერტი "ელისო ვირსალაძე" **17.00** ქრისტიანული ხელოვნება "დიდუბის ტაძრის მოხატულობა" **17.50** მართლმადიდებლური კატეხიზმო-მეხუთე ნეტერება **18.10** ერთხელ ბავშვობაში "მარიკა კვალიაშვილი" **18.40** ძველი ათქმის განმარტება **19.00, 22.00, 00.10** სიახლენი **19.20** მხ/ფ "**ბეჟლუდი**" **20.40** ძილი ნებისა "ღვთისმშობლის ხატის ხელობის სწავლა" **21.15** დ/ფ "დედა ღვთისმშობელი" **22.20** ჩვენი საგანძური "პეტრიწონის ღვთისმშობლის ხატი" **22.35** კვირიაკეს სიუჟეტი "...რაღაც კიდევ უფრო ქართული-გრიგოლ აბაშიძე" **22.55** მართლმადიდებლური კატეხიზმო **23.00** სალამოს ლოცვა **23.15** მოკ. მხ/ფ "**უსახელო უფლისწილი**" **23.40** ღვთის სახლი "თიღვა" **00.30** დ/ფ "ფენომენი" **1** ნან.

მაესტრო **08.00 - 03.00** ახალი ამბები (გამეორება ყოველ ერთ საათში) **07.15 - 02.15** სპორტი (გამეორება ყოველ ერთ საათში) **07.30- 02.30** ახალი ამბები მსოფლიო (გამეორება ყოველ ერთ საათში) **07.00, 10.00, 13.00, 19.00, 23.00, 01.00** ბიზნესი **21.00** მთავარი გამოშვება

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

14 სექტემბრისთვის

- აშშ დოლარი — 2.4589
- ევრო — 2.9359
- ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.2649
- 100 რუსული რუბლი — 4.2759

ამინდის პროგნოზი 14 სექტემბრისთვის

12 სექტემბრიდან

ქართული დეტექტივი მე-15 ტომი

მაია ბურჭულაძე

უფასო ბილეთი წარსულში

ორშაბათის სიზმარი

ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი

13 სექტემბრიდან

ქართული ჰაგიოგრაფია

წიგნში თავმოყრილია სამი ჰაგიოგრაფიული ძეგლის – „შუშანიკის წამების“, „აბოს წამებისა“ და „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ – პარალელური ტექსტები, რომელთაგან ერთი წარმოადგენს ძველ ქართულ ორიგინალს, ხოლო მეორე – ახალ ქართულ ენაზე შესრულებულ უზუსტეს ვერსიას.

ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი

14 სექტემბრიდან

ელენე ახვლედიანი

მაღალი პოლიგრაფიული დონით შესრულებული ალბომი არაჩვეულებრივი საჩუქარია მხატვრის თაყვანისმცემლებისთვის და არამარტო მათთვის.

ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი

ქართული ანიმაციური ფილმის ამერიკული პრემიერა ჩიკაგოს საბავშვო ფილმების ფესტივალზე გაიმართება

ქართველი ანიმატორის დათო კიკნაველიძის ანიმაციური ფილმის „ჯინოს“ ამერიკული პრემიერა ჩიკაგოს საბავშვო ფილმების ფესტივალზე გაიმართება.

ეს ამერიკაში ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული საბავშვო ფილმების ფესტივალია, რომელსაც ყოველწლიურად 35 000 ადამიანი ესწრება. ჩიკაგოს ფესტივალზე ქართველი ავტორის ნამუშევარი პირველად მოხვდა.

დათო კიკნაველიძის „ჯინო“ არაერთ ფესტივალზე სხვადასხვა სექციაში მონაწილეობდა, სადაც წარმატებებს მიაღწია. როდის იხილავს ქართველი რეჟისორის ანიმაციურ ფილმს ქართველი მაყურებელი, ჯერჯერობით უცნობია.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

რიანა პოდიუმზე მოტოციკლით გამოვიდა

ნიუ-იორკში გამართულ მოდის კვირეულის ფარგლებში მომღერალ რიანას ბრენდის ჩვენება გაიმართა.

„გაზაფხული-ზაფხული 2018-ის“ კოლექციაში წარმოდგენილი იქნა საცურაო კოსტიუმები, ნეილონის მინი-კაბები, შარვლები და კომბინეზონები, რომელიც ბაიკერული კულტურის ზეგავლენით შეიქმნა. კოლექციაში შეინიშნება 80-იანი წლების ესთეტიკისკენ მისწრაფება – ღია-ვარდისფერი დეტალებით, ელვის სახით და ასევე მილიტარის სტილიც.

პროგრამის დასკვნით ნაწილად იქცა ბაიკერების გამოსვლა – მათ სხვადასხვა ილეთები შეასრულეს პოდიუმზე აღმართული ვარდისფერი ქვიშის გორაკების ფონზე. შოუს დასასრულს კი პოდიუმზე მოტოციკლით თავად რიანა გამოვიდა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

იუმორი

მანქანის მძღოლს გზაზე მდგომი ბოშა ხელს უქნევს და წაყვანას სთხოვს. მცირე ყოყმანის შემდეგ მანქანა გაუჩერა და ჩასვა. ბოშა ეუბნება:

– კეთილო კაცო, მადლობის ნიშნად უფასოდ გიმკითხავებ.

– არ მჭირდება, რაც უკვე იყო, ისედაც ვიცი და რაც მომავალში იქნება, საკუთარი თვალით ვნახავ.

– მაშინ, სამ სიმართლეს გეტყვი.

– კარგი, მითხარი.

– პირველი, მთვარე ანათებს და არ ათბობს. მართალია?

– სიმართლეა.

– მეორე, თხა წვერს არ იპარსავს. მართალია?

– მართალია.

– მესამე სიმართლე ის არის, რომ შენი ცოლი მეზობელთან დადის.

– შეუძლებელია, არ მჯერა, ეგ სიმართლე არ არის.

– გინდ დაიჯერე, გინდ არა!

კაცი სახლში მივიდა. ცოლი შეეგება, სუფრა გაუშალა. კაცმა ისადილა და მერე ცოლს ეუბნება:

– ბოშა ქალი დამემგზავრა და სამი სიმართლე მითხრა.

– რა სიმართლე?

ქმარმა პირველი უთხრა. ცოლი დაეთანხმა:

– სიმართლეა.

ქმარმა მეორე მოუყვა. ცოლი ისევ დაეთანხმა. მერე კი ეუბნება:

– მესამეს არ გეტყვი.

ცოლი არ ეშვება, მითხარი და მითხარიო და ბოლოს ქმარი ეუბნება:

– ჩვენ მეზობელ გივის, აი ასეთი პატარა აქვს.

– ეგ ნამდვილად არ არის მართალი!

•••

სისხლის გადასხმის ცენტრში დილით ადრე მაგარ „პახმელიაზე“ მყოფი მამაკაცი მივიდა და კითხულობს:

– ექიმო, სისხლი რამდენი უნდა ჩავაბარო, რომ სამუშაოდან ერთი დღით გავეთავისუფლო?

– სამასი გრამი.

– და მთელი კვირით?

– ამდენის ერთ ჯერზე ჩაბარებას ვერ შეძლებთ.

– შევძლებ, ექიმო, შევძლებ! სიდედრის სისხლი არ მენანება!

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

7 სექტემბრიდან

რჩეული ქართული ზღაპრები

ფასი გაზეთთან ერთად 5 ლარი

15 სექტემბრიდან

ედუარდ ლირი

ბუკნაჭო და ფისუნია

კრებულში შესულ ყოველ ლექსს განთქმული მხატვრის, რობერტ ინგპენის, ხალისიანი ილუსტრაციები ამშვენებს.

წიგნი ბრწყინვალე საჩუქარია პატარებისთვის, რომელიც მათ კიდევ მრავალი საუკუნის განმავლობაში განუვითარებს წარმოსახვის უნარს.

ფასი გაზეთთან ერთად 6 ლარი

ჯობავა მეოთხედფინალისკენ მიიწევს

შედარებით მშვიდობიანი გამოდგა თბილისში მიმდინარე საჭადრაკო მსოფლიო თასის მერვედფინალის პირველი სათამაშო დღე.

შავებით მოთამაშე ბაადურ ჯობავამ იოლად გაათანაბრა პოზიცია პლანეტის ერთ-ერთ უძლიერეს დიდოსტატ უესლი სოსთან. მისი პოზიცია უფრო სასიამოვნოდ გამოიყურებოდა, მაგრამ მინიმალური უპირატესობა საკმარისი არ აღმოჩნდა მრისხანე მეტოქესთან გამარჯვებისთვის. ახლა ბაადური თეთრებით ითამაშებს და შანსი აქვს, მეოთხედფინალში გავიდეს.

მხოლოდ ორმა მოჭადრაკემ იმარჯვა მერვედფინალში: ტურნირის ყველაზე ასაკოვანმა მონაწილემ, ვასილი ივანჩუკმა ასპარეზობის ერთ-ერთი ფავორიტი ანიშ გირი დაამარცხა.

ასევე გამარჯვება იზეიმა შავი ფიგურებით მოთამაშე ვლადიმირ ფედოსეევმა მაქსიმ როდშტეინთან დაპირისპირებაში.

მაგნუს კარლსენის დამმარცხებელი ბუ ამჯერად ვერაფერს გახდა სვიდლერთან; მაქსიმ ვაშიე-ლაგრავი და ალექსანდრ გრიშუკი ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ თუ ვინ შეცდებოდა უკანასკნელი. საბოლოოდ, ნატანჯი ფრე დაფიქსირდა; დანილ დუბოვისა და ლევონ არონიანის პარტიაში გამოცდილება იბრძოდა, ახალგაზრდობა იცავდა – ყაიმი; ბევრი ეცადა ნაერი მოეგო, მაგრამ რაპორტთან ყაიმს ვეღარ გაექცა; ვანგ ჰაოსა და დინგ ლირენს შორის შინაურული, ჩინური ყაიმი დაფიქსირდა.

მერვედფინალურ მატჩებამდე ევროპის საჭადრაკო კავშირის პრეზიდენტის, ზურაბ აზმაიფარაშვილის პრესკონფერენცია გაიმართა.

ზურაბ აზმაიფარაშვილი:

– მსოფლიოს თასი ძალიან მაღალ დონეზე მიმდინარეობს. მსოფლიო თასის გა-

გაგრძელება მე-11 გვერდზე

ჯოსვოხდი ა



შვეულად: 1. ქამრის ღითონის ენიანი შესაკრავი; 2. ებრაელთა დიდი რელიგიური დღესასწაული; 3. ვიქტორ ჰიუგოს რომან „პარიზის ღვთისმშობლის ტაძრის“ პერსონაჟი; 4. სათბურში გამოყვანილი ბოსტნეულის ნერგი; 5. ღვარძლიანი დაცინვა, მწვავე ირონია; 7. ბელორუსიის ფეხბურთელთა გუნდი; 11. დაჭაობებული ნიადაგის ამოშრობის ერთ-ერთი მეთოდი; 13. სურნელოვანი პარფიუმერიული სითხე; 15. კახეთში გავრცელებული თეთრყურძნოვანი ვაზის ქართული ჯიში; 16. მწყემსი სამხრეთ ამერიკაში; 18. ნომრით აღნიშნული კომპოზიტორის ნაწარმოები; 19. ქოქოსის კაკლის გული.

თარაზულად: 6. ინდოეთის ქალაქ მუმბაის ძველი სახელწოდება; 8. მუხლის სახსრის ხრტილი; 9. ყვითელი ფერის ღითონი, სპილენძისა და თუთიის შენადნობი; 10. ზღვის ნიმფა ბერძნულ მითოლოგიაში; 12. ლეშის მჭამელი აფრიკული ცხოველი; 14. ირანის ძველი დედაქალაქი; 17. კაფე-ბარი ელექტრონული მუსიკითა და საცეკვაო მოედნით; 20. შტატი აშშ-ში; 21. ქართული ფარმაცევტული ფირმა; 22. საფრანგეთის საიდუმლო პოლიცია; 23. ისტორიული ციხე-სიმაგრე ზესტაფონის მახლობლად.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა